

# განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სა-  
ლიტერატურო და საპოლიტიკო  
უფრონალი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. გზაზე. ლექსი, ს. ტაფუნისა.
2. სამყურა ყვავილი, დ. თურდოსპი-  
რელისა.
3. პატარა და-ძმა, სურათი, ალესილისა.
4. ლეგენდა, ა. ნემაროვი-დანჩენკოსი,  
გ. ა—ლისა.
5. ცრემლს პატივი ეცით და ნუ შეიბ-  
რალებთ, სან-ტარისა.
6. ერისტო, დასასრული, ქ—შორელისა.
7. ქართველი მამადიანების მწერლობა  
ხელოვნების შესახებ, ნიკო თავდგირიძისა.
8. სალავბო წერილები, პეტრე შირიანი-  
შვილისა
9. კრიტიკა, ხომლელისა.
10. სადღესი, რუსული ორგანო, გ. ხო-  
ნელისა.
11. ელზას—ლორენი, შ. ვ—რისი.
12. შენიშვნები, კირილე წუთისოფელისა.
13. შვილის საუბარი მამასთან, ბესარონ  
კიბთურელისა.
14. ვაჟა-ფშაველა ფოთში, მოგონება, ს.  
ტაბლიაშვილისა.

15 სექტემბერი 1915 წ.

## მ შ თ ა ი ს ი

სტამბა „ძობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისთვის.

(წელიწადი შერევი)

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას აქვს ყველა ჩვენს საშუალო სკოლაში, მწერლები, ჰედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანათი** (4 მან.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანათად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „**მრავალჟამიერ**“ მუსიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალებისათვის. **პესტალოცის**, **ჰერბერტ სპენსერის**, **რუსსოს** და **კომენსკის პორტრეტებს**, რომელთა მავიერ 1914 წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის „**სინათლისა**“ და „**პატარა მურია**“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ გვარის ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „**ნაკადულის**“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და წიგნის მაღაზია „**Новая рѣчь**“ **კიკნაძესთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინსარიძესთან და წიგნის მაღაზია „**განთიადში**“, **სამტრედიაში** წ.კ. საზოგადოების კიოსკში **მ. კოპალეიშვილთან**. ამ სამ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერებს დროზე დაიკეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის

თანდათან გასაუმჯობესებლათ.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. ზ. ბოცვაძე**.

ორკვირული საოლოიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## გზავნი.

იმედის ვარსკვლავს ცხოვრებისას წავეყ ეული,  
გადამატარა მთა უფსკრული, გზა მიუვალა.  
ვიარე ობლათ უნუტეშოთ, სევედის ბილიცხე,  
შევედექ მწუხრის ეამს, მოკაფე იმედის ქელზე.

\*  
\*\*

შავი ყორანი თავს დაჩხოდა დაჩაგრულ მოძმეს,  
ფრთებ ქვეშ მალავდა იმედოვან სხივს მოკამკამეს,  
კვლავ შავი ბინდი, შავი ლამე შემოსწოლოდა,  
ობოლ ქვეყანას, ცრემლათ დნებოდა, ფიქრებათ ქროდა!

\*  
\*\*

ტყვენილქაოსზე გესლა მწარე მიმოკურავდა,  
ვარსკვლავთ ციმკომში მიწის სევედა გრძნობას ფარავდა,  
ტაღლათ ქუხილში შვეების ხარი იძირებოდა,  
გრძნების გრდემოლზე ცის ამოცანა იქედებოდა...

\*  
\*\*

მარა ქაოსი, სევედა მწარე იფანტებოდა,  
დღე ფრთებსა შლიდა, მზის სხივთა კონას ელიმებოდა,  
ახალ ცხოვრების ყოფნის ვარსკვლავს ჰიმნათ აღნობდა,  
ცისკრის ცილში მომავალის მახვილს სქედავდა.

\*  
\*\*

იქ გავეშურე. იქ ვიბოვე სატრფო გულისა,  
იქ ვბოვე გრძნება, მკონის მუხა ობოლ სულისა.  
იქ ვიტყვი სიტყვას, ავაფლერებ მომავლის ჩანკსა,  
შევაკრთობ ღამეს, მწუხრს მოვასმენ იმედის ჰანკსა!...

ქ. კიფვი.

ს. ტაიფუნი.

## სამკურა ყვავილი.

— ოჰ, რა კარგია, რა შევნიერი, სხივთა ცქრიალი, სხივთა ჩანჩქერი!.. იცინის ქალა, იცინის მთები, მეტის მოღებნით ტირიან ზვრები...

აკისკასებდა ლაყვარდოვან ხმებს ჩემი ღვთაება ერთხელ, რიყრაყა დილით, როდესაც გრძნობათაა ღელვისგან მიბნედილი ვიდექი მასთან და შეეყურებდი ნაღვლიანი თვალებით.

— ციური ნიჭით მირიან-ცხებული, ფსტვენს ბუღბული აღტაცებული, მეც აფურთოვანდი, ცათ ავიჭერი, საგაზაფხულო სიმღერას ვმღერი!..\*) განაგრძობდა ის და თან, ისე შესცივნობდა ლალის სხივებით შეძერწნილს ცას, ისე ალივლივებდა ხელებს, თითქოს მართლა ცაში ყოფილიყოს და ტაროლასავით კამარას აკეთებდეს...

— თქვენთვის გაზაფხულობს ბუნება და კაშკაშებს მზე-ჩემთვის-კი ისევ გაუტეხელი წყდი-ადია-შგვენსა ჩემმა გულმა.

— რათა, რისთვის?! — გაიკვირა მან. ეს მოდღესასწაულე ღღე შეუღაბნოვსაც-კი თავს მოაგვიანებებს და, აბა, თქვენ რა უნდა გქონდეთ სადარდებელი?!

— რაა და ისა, რო ვავიტანჯე თქვენის ლოდინით... რამდენჯელ დამპირდით ჩემს ბაღში შემოვლას, რამდენჯელ დამინიშნეთ პაემანი და ჯერაც არა მღირსებია მისი ასრულება...

— მაპატივეთ, მაპატივეთ. მართლა დამნაშავე ვარ. ახლა, უტყველათ, აგისრულებთ სურვილს, მოგწვეთ გულის მურაზს, თუ მართლა მომელოდებოდით, ასე სასოებით... როდისთვისა გსურთ ჩემი წვევა?!

— ყოველთვის.

— ახლაც?!

\*) მე ნუ გამიწყურება ჩემი ძამია გ. ქუჩიშვილი, რომის ლექსში სიტყვები თავ-თავის ალაგას არ დაუხვდება. მომღერალმა ქალმა ასწავ-დასწავა. თუ არ დაიშლის, ის შეამკვს კაი-სიტყვებით. თ.

— ეს მეტისმეტი ბედნიერება იქნება ჩემთვის.

— მაშ, წავიდეთ.

ჩალამებული გული გამიბრწყინდა... გამიკაშკაშდა... ნეტარმა გრძნობამ შემეცაყაჩოსფერა ფითრად ქცეული სახე...

— ხომ იმდენი ყვავილი მოიპოვება თქვენს ბაღნარში, რომ თავიგული შეგკონოო — შემეკითხა ის ნებიერი ბავშვივით.

— ისევე უანგარიშოა იქ ყვავილები, როგორც მგონის ცრემლები, მიუზღვე და თავმომწონეთ გადახვდეთ ძირს, მდღელოზე ატევერებულს ბაღნარში.

— ვიშ, ვიშ, ვიშ!... — წამოიძახა მან აღტაცებით და შევლივით სწრაფლ ჩავლო დაღმართი.

ვუყურებდი მას, ყვავილთა მტილში რომ დაცქრიალებდა პეპელსავით და ვინთქმებოდი სიამის სხინარში...

ის ჩემთან არის... ჩემთან არის ის, რომელიც მოციმციმე ვარსკვლავივით მიუწოდომელი, მეგონა.

მე მალ-მალ თვალებს ვიფშენეტი იმის შიშით, რომ ასე ბედნიერი სიზმარში არა ყოფილიყავი.

ის-კი აღტაცებით კრეფდა ნაირ-ნაირ ყვავილებს და თან სასოებით ყურს უგდებდა იდუმალს გალობას, რომელიც იასამანის ბუჩქნარიდან მოწკრილებდა სევდის ჰანგებათ...

— რა მომზიბლავათ გალობს იაღონი — წარმოთქვა მან და გაიხედა იასამანისკენ...

— იაღონი-კი არა, ჩემი გულია... ჩემი გული გადაიქცა იაღონათ და ის მოთქვამს ასე ნაღვლიანათ...

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.., თქვენი გულია იაღონათ გადაქცეული?.. ჩინებულათ, ჩინებულათაა ნათქვამი. თქვენ ნამდვილი მგოსანი ყოფილხართ. ტყუილათ-კი არ გავიშენებიათ ასეთი შევნიერი ბაღნარი — მომიქაიანაურა მან, თითქოს იგი ამიყვანდა ნეტარების მალალ-ფარდებში...

მე-კი მეგონა, გამოემკითხავდა, თუ, რამიზენი იყო ფრთოსნათ გადაქცეული გულის ჯავრიანობისა... ვის უგალობებდა იგი ასე

თავ დავიწყებითო...

როდესაც მან მოკრიფა მთელი ბლუჯა ყვავილებისა — შეკონა რამდენიმე თავიგულათ და წასასვლელათ გაემზადა...

გამომშვიდობებისას მოესწვიტე სამყურა ყვავილი და, ვთხოვე, გულს გაებნია იის მკერდით...

მას ეოცა...

თავაზიანობის გულისაუვის ჩამომართვა, გულს-კი არ გაუზნევა...

— სამყურა ყვავილი... ფიჰ... სასაცილოა სწორეთ... აბა, რა სახსენებელია ეს უმნიშვნელო, უსუნო რამ ყვავილი ამ ტურფა ია-სუშულებთან... ამზობდა იგი ტუნაწევით და სრესდა ყვავილს, რომელიც ისე საცოდავით თრთოდა, თითქოს ეხვეწებოდა: აი, რა პატარა ვარ... ერთი ბეწო... ნუ გადამაგდებ შენს ვახარებას... შენ რაა, რა დაგიშვებდა... რომ ერთი ციციქნა ალაგი მეც მქონდეს შენს გვერდზე...

ამასვე ევედრებოდნენ ჩემი თვალები. მარა ამოთ. ის ქანდაკებასავით ცივით იდგა და არ ესმოდა, არა სურდა მიხვედრილიყო იმ ქარაგმას, იმ ყვავილის მნიშვნელობას, რასაც ვერ ავუხსნიდი, ვერ გავუშვავებდი ამ საცოდავი სიტყვებით:

მიყვარხარ... მიყვარდი... მიყვარები...

**დ. თურდოსპირელი.**

### პატარა და-ძმა

ადიდებული, ფაფარაყრილი, ზღვათ მომსკდარი შ.დ. ცხენისწყალი, რომელიც მოედვა ვაკე იმერეთის და ოდიშის დაცემულ მდიდარ ქალეზს, საიდანაც წახვეტა და სტიქიას მისცა ყოველივე ნაშრომი და ნაწულ-გულუკვირუშისა, მალე დავარდა, ჩადგა თავის კალაპოტში. ქვაქვაზეც აღარ დაუტოვებია ამ შენეირი ედემის გამოცოცხლებელს, გამამდიდრებელს და შემამკობელს აღმასის წყალს და დღეს მხოლოდ ცხარე ცრემლი, ღრმა მწუხარება და ვაკება გაუ-მეფეებია ირგვლივ.

ყოველი მხრიდან მოჩანს ამდიადი უბედურების შედეგი. დათვისილს ყანებსა და ბაღებ-

ში გადავლილ წყალს დარჩა შლამ-ლექა, რომელიც მოსილა ნახევარ საჯენზე, სადაც არათუ გავლა არ შეუძლია კაცს, ტუქილა გადახედვაც. აღარა ჩანან შეკავებული ყანები, ბოსნები, ბაღები, ეზო-გარემონი.

ამ შლამ-ლექის წყალობით, ზაფხულის აღხებმა ჰაერი თონესავით გაახურა, ყველაფერი აადულდა, მთელი არე-მარე ხაშვით აავსო და მოწამლა, ააუქმურა ქვეყანა. დედა-მიწაზე გამსკდარმა ტალახმა დააღობო ყოველიფერი და გააჩინა ცივებ-ცხელება, რომელმაც, ოჯახი არ არის, რომ ოთხი, ხუთი სული არ ყავდეს სიკვდილზე მიყენებული.

აი, დამხწვალი ხარ-კამეჩების, ცხვრების და თხების, ღორების, შინაური ფრინველების ლეშები! აი, სახლ-კარის და წისქვილების, ბეღლების და სასიმიდეების, ბოგირების ხეები და ფიცრები, ბოყვები, საძირკვლები და კარები! აი, საწნახლები, ხელ-წისქვილები, ძარები, ჩელტები და რადაც კინკებიც!

შარშან ამ დროს მღელვარე და მოფუსუსუესე მშრომელი სოფელი, სადაც სიცოცხლე მოქარბებითაც დულდა და გადმოდიოდა, დღეს სრულიათ ჩამკვდარა, აღგვილა დედა-მიწის ზურგიდან და იქ მისკლისთანვე აღამიანი გძნობ სიკვდილის და ჯოჯოხეთის სულის თქმას.

ქართველი კაცის დამწვარ დადაგულ გულს ჯერ-საკირის ცეცხლი არ განელებოდა იმ აუწერელ უბედურებისგან, რომელიც ამ უსაშინელესმა საერთა-შორისო ომმა მოუვლინა ჩვენ ღვიძლძმებს-ზემო ქართლის შვილებს მადაიანებს, რომელნიც უმოწყალოთ გაიჟლიტენ, ამოწყდნენ კოლ-შვილიანა, სახლ-კარიანა და, ვინც გადარჩა, ვაიქცა ქულ მოგლეჯილი, ნამუს ახლალი და შეგინებული ოსმალეთისკენ, რა მეორეთ აღარ იხილოს ეს ჯოჯოხეთი და ეგვიპტიდან გამოქცეულ ებრაელივით სამუდამოთ დატოვოს მშობელი ქვეყნის უტკბილესი და უშიდრესი მიწა-წყალი და არე-მარენი...

რომ ეს მეორე უშველებელი უბედურობაც ასე მოულოდნელათ თავზე დაგვატყდა!

ადამიანის მეტყველი ენა, დიდი მხატვრის კალამიც ვერ ასწერს იმას, რაც ამ ჟამათ სოფლათ ხდება...

გადარჩენილი ცხენები და საქონელიც, თუ სადმეა კიდევ, პატრონს ტყეთ გაუშვია, რაკი საკვები არ მოეძებნება. ცხენი და საქონელი, რაკი ბალახი და ყოველფე სილას და ლექს დაუფარავს, შიმშილით კვდება სოფლის ახლოს. მას მისევია დამშეული ქოფაქები და ლეშით ძღებთან... ხალხი ამბობს, რომ ცხენის ლეშით გამაძლარი ძაღლი, მიუცილებლათ, გაცოფდებაო. და ამასაც ხო დიდი უბედურობა უნდა მოყვეს კიდევ. ქირს ქირი მოსდევსო, ჩვენში რომ იტყვიან, სწორეთ ეს მოსწრებაა...

სოფელ ქვეყანა სრულიათ მოსპობილია, სოფელ-ქვეყანა სულერთიანა წალეკილია...

მღ. ცხენის წყლის პირათ მდებარე სოფლის ერთი კუთხიდან მოდის პატარა ქალვაჟი.

ისინი მიდიან ჩუმათ, გულ მოკლულნი, უპატრონოთ. მარა უშიშრათ. შიშის გრძნობა სულ დაკარგვიათ. ან რისა უნდა შეშინებოდათ გულ-მკვდრებს და გამწარებულთ?! ამათ ყველაფერი და ყველანი დაკარგეს. დედ-მამაც და ძმაც. ამათ მეტი ოჯახიდან არავინ გადარჩენილიყო. მიდიოდნ ეს უბედურნი გზათ და დამშეულ-დაღლილნი ძლივსლა აბიჯებდენ...

ძალღონისგან დაცლილი პატარა ვაჟი ხანდახან შედგებოდა და გაშტერებული იქირებოდა. პატარა ქალიშვილი მას ხელს წაკრავდა, წაიგდებდა წინ და ასე მიყავდა. მარა არც თვით იცოდა, საით წაეყვანა.

საშინლათ შიოდათ. ორ დღეზე მეტია, ლუქმა პირში არ ჩაუდვიათ.

გზაში უკმათ ვაჟი შედგა და, თითქო გახიარულდაო, წამოიძახა:

— შეხედე! შეხედე ერთი!

— რა ამბავია? შეეკითხა ქალიშვილი. რას უყურებ? ვერ წიშობხვალ? აი, ხედავ სოფელს? წავიდეთ იქ. აქ ხო ვერ დავრჩებით...

— არა, არა! წამოიძახა ბავშვმა და სახელოზე ხელი წაავლო ქალიშვილს. — შეხედე, შეხედე ერთი! იმეორებდა იგი.

— მერე, რა მოხდა! ძაღლი ძვალსა ხრავს. მეტი ხომ არაფერია.

— არა, შენ გენაცვალე, დიოცადე... წავიდეთ ძაღლთან. ძაღლს-კი ორივე წინაფეხების თათებში მაგრათ ექირა რაღაცა და აძლებოდა... ბავშვების მიახლოვებისთანვე, ძაღლმა ღრენა დაიწყო.

— წავართვათ ძაღლს ის, რასაცა სჯამს... ხედავ ხორცია. წავართვათ მალე, ემუდარებოდა საშინლათ დამშეული პატარა ძმა თავის დაიკონას.

თვით დაც იმისი სასიკვდილოთ იყო დამშეული. მარა იმას უფრო ტანჯავდა თვისი პატარა ძმის დამშევა, რომლის სამძიმეს ვეღარ უძღვებდა ეს უბედური და ეცემოდა ქანც გამოლეული...

და გაიწია ძაღლისკენ ხორცის წასართმევათ. გამწარებული ძაღლი გასაგლეჯათ კინაღამ ეცა ამ უბედურ, ტანისამოს შემოგლეჯილ ქალიშვილს...

მარა სწორეთ ამ დროს პატარა ძმამ ხელი დაავლო მდინარის პირათ დაგდებულ რიყის ქვას, ესროლა ძაღლს და მოიშორეს იგი. იმწამსვე სტაცეს ხელი იმას, რასაც ძაღლი ასე გამწარებით გლეჯდა და გაუდგენ გზას...

მარა... ეს ხომ ადამიანის კანქია, წამოიკივლა დამ და იმის შევნიერ, ცის ფერ ანგელოზურ ჟუჟუნა თვალებიდან ცრემლის კურცხალი წასკდა, წამოგორდა იგი ლოყაზე და ძირს, განურებულს სილაზე დაეცა...

პატარა ძმამაც გაშინჯა ნახული საგანი და აკანკაღდა.

ესეც ატირდა...

— ნეტა, ეს უბედური ვინაა?

ვინ იცის, იქნება, ჩვენი ძუძუკო-დედიკონასია, გაუეღვა თავში ატირებულს ქალიშვილს და ორივე ატირებულ, აკრემლეულ და-ძმა მიადგა... სოფელს.

სოფელელთა კეთილი, ალალ-მართალი გული ჯერ კიდევ სულ თლად არ გაქვავებულა, მოყვასთა თანა გრძნობა და სიყვარული ახლაც ამ უსაშინელესი ვაგების დროსაც ბეუტავს

იქ. . მზის გამაცოცხლებელი სხივები და მდიდარი ბუნების მაღლი ჩვენებურ გასაწყლებულ სოფლებს მოუვლენს „ჭირსა შიგან გამაგრების“ ძალას, იმედს, სასიოებას და, ამიტომაც, იციან იქ უბედურთა შებრალება....

სოფელმა შეიწყალა და შეივრდომა უბატრონო და-ძმა.

აღესილი.

30 ივლისი, 1915 წ.

## ლეგენდა

ა. ნემიროვიჩი-დანიჩენოსი.

მაღალი, მიუწლომელი ფიწალი კლდე. შავი, დაბურული. რაღაც უსულო ბელტეზიათ გადმოკიდებია იგი მზის სხივებზე მოელვარე, ლურჯათ მოკამკამე ზღვას.

ზღვა-კი ანთებულია ცხოველი მზის სხივებით და უდარდელათ ღიმილს უძღვნის უძრავ და შავ კლდეს. მდნავ ღელავს, ოდნავ ირ-ხევა მისი ცის ფერი, გამჭვირვალე ზედაპირი ოდნავაც კრთება... როგორც ქალის მომწიფებული მკერდი ნელი ქარის შეჩებით. ოდნავ ღელავს, ოდნავ ირხევა და ბრწყინავს მზის მხურვალე სხივებით.

და ამ განუსაზღვრელ, მოელვარე ზღვის ზევით, ცივს, უსულო კლდეზე მხოლოდ ჩვენ ორი ვზივართ. მზისგან დამწვარ თავის ხელში მას ჩემი ხელი უჭირავს; თმა დაშლილი აქვს; სახე დანაოკებული; თვით იგი წააგავს დიდი ხნის უსულო კლდეს ამ მზისგან ანთებულ ზღვაში. მხოლოდ ორი დიდი შავი თვალეზი ბრწყინვენ რაღაც დაუშრეტელი ცეცხლით, ძალათ გამოუთქმელი სურვილით.

— „შენ იხილავ იმათ იქ, ჩამჭურჩულეებს იგი და მისი ხმა ერთვის ხმელი ბალახის შრაალს, — შენ იხილავ იმათ იქ, კარგებს, ლამაზებს და, მერე-კი, მოხვალ და მიამბობ მე. მე-კი მათ ვერას დროს ვეღარ ვიხილავ... და არც მინდა მათი ხილვა.

— ვძელი, შავი თმა უშვენებს მათ შავი გვრემან სახეს, ღრმა და ცის ფერი თვალეზი, როგორც ეს განუსაზღვრელი ზღვა, და თვისი გამხდარი ხელით მიმიითთა მან შორს, ზღვის

კიდეს, — ასეთივე ღრმა, როგორც ეს ზღვა; შენ იხილავ იქ დიდ, შავ თვალეზს, როგორც აღზნებულ ნაკვერცლებს და ოქროს ფერ თმას, როგორც მზის მხურვალე სხივებს...

„ტიტველი, ნაზი კლაკები შამოგებვევიან გარს და გრძნობით ჩაგიკვრენ გულში...“

„შენ იცი, განაგრძო მან, რაღაც საიდუმლოებით მოცული ხმით, ცოტა სიჩუმის შემდეგ, როდესაც ღმერთმა ქვეყანა შექნა, თერთი, საუცხოვო ანგელოზები ჩამოფრინდენ ძირს, რო ღვთის შემოქმედება ეხილათ; და რამდენიმე მათგანი მოხვდა ჩვენთან, ბედნიერ საქართველოს ულამაზეს, უტურფეს მიდგერებში.

„საამურათ გადაშლილიყო ვარდები, ცხოველი მზე ანათებდა ბუმბერაზ მთების ცივ მწვერვალებს; კაცს ასე ეგონებოდა, რომ იმათზე უხილავ ხელს ყვავილები მოუბნევიან, სისწრაფით მოჩუხჩუხებდენ მდინარენი; თვისი ანკარა შეფეებით ელაქუცებოდენ ისინი მაღალ ფრესკებს და ქვებზე აჩქარებით მიეჩანებოდენ თავქვე. ისმოდა ათასნაირი ფრინველთა საამური ხმა, დაბურულ ტყეს შრიალი გაქონდა მიუვალ კლდეებში, შავი ღრუბელი თავს დატრიალებდა ამ ტყეებს და ხეობებს.

„და არ მოისურვეს თეთრმა ანგელოზებმა აფრენა მაღლა ცაში, ღმერთთან. ისინი დარჩენ საცხოვრებლათ ქვეყანაზე სპეტაკ თოვლით დაფენილ მთათა შორის. ამის შემდეგ, ღმერთმა აუკრძალა მათ მაღლა ცაში აფრენა და, რადგანც მათ არ მოისურვეს და უარი თქვეს მის სამეფოში ცხოვრებაზე, ღრუბელთა შორის, მან იგინი დასაჯა: სამუდამოთ დატოვა ისინი ამ ქვეყნათ.

„მარა დაქნა საქართველოში კუკურათ შლილი ვარდები; თანდათან გძელდებოდა ბნელი, წყვილიდით მოცული ღამეები; უფრო შავათ და საშიშრათ ჩამოეშვებოდა ხოლმე მიუვალ კლდეებს ჩრდილი ქვიან მთებ შორის.

„მძიმე, შავმა ღრუბელმა დაფარა ბწყინვალე ცა. საშიში შეიქნა იგი, ცივი. ველურის ხარხარით და სტვენით დაბერა მძვინვარე ქარმა მაღალ და წაბლის ყვითელ დანაოკებულ ფოთოლთა შორის. შორს, მთებს-კი ჩამოაწვა,

შავი ნისლი...

იგი ცოტა ხანს შეჩერდა და, თითქოს  
თლად მოიკუმშაო, მიაჩერდა ჩამავალ მხეს...

„ანგელოზების ზეციური სილამაზე-კი, გა-  
ნაკძო მან, ღმერთმა ქვეყნათ დატოვა. მან  
იგი ქართველ ქალებს გადასცა; ამიტომაც არ-  
ის, რომ ქართველი ქალები ყველა ქალებზე  
უფრო ლამაზები და უტურფესია ქვეყნათ.

იგი შეჩერდა და დიდხანს მიჩერებოდა  
შორს, სადაც ცის ცეცხლით ანთებული ნა-  
ბირი ზღვის აპრიალბულ ზედაპირს ჩაკვრო-  
და ძლიერათ.

„შენ იხილავ იმათ. მარა მე-კი ვერას  
დროს მათ ევლარ ვნახავ. მე-კი ვიყავი ერთ  
დროს ლამაზი და, ვინ იცის, რამდენი საუკე-  
თესა ქართველის გული ჩემთვის ატოკებულა...  
მარა მოხუცი და ავით მყოფი, მე იქ არას  
დროს არ დავბრუნდები. მე მოვკვდები სადმე  
შორს, შორს, ჩემი სამშობლოდან და მუდამ  
შემჩერე ვიქნები ამ განუხაზღვრელი ზღვისა,  
რომლის იქითაც დაფარულია ჩემი სამშობლოს  
თოვლიანი მთები და საამურათ აყვავებული  
მიდორ ველი ტურფა საქართველოსი...

მზე ჩაისვენა ცეცხლით ანთებულ ზღვაში  
და, რამდენიმე წუთის შემდეგ, თავზე დაგვაშ-  
კაშებდა სამხრეთის ვარსკვლავებით გაქედილი  
ცა... რაღაც საიდუმლოებით მოცული სინა-  
თლით ანათებდა იგი მოხუცის ხუჭუქ თმას,  
რომელიც თვის გამხდარ ხელში ეჭირა მას. მე  
ფხედავდი, როგორ მაღლა აღიორდა მისი შო-  
ხუცი მკერდი შეკავებულ ცრემლებსგან, რო-  
მელიც ხან და ხან წვეთდენ და ცივს, უსუ-  
ლო კლდეს ასველებდენ.

მ. ა.-ლი.

### ცრემლს ზატვი ვცით და ხუჭებიბრადლებთ.

ყოლის შემძლებელმა ღმერთმა წინა-  
თვე იცოდა ადამიანის ზნე, მარა ეს ხომ  
იმას არ ნიშნავდა, რომ თვისი ძლიერება  
უქმათ შეენახა და არაფერზე მოეხმარებია...

რაც შეეხებოდა ისეთი უბოროტო სრულ  
ადამიანის შექნას, როგორც თვით იყო,  
მას არ შეეძლო, რადგან იგი უჩამამავლო  
იყო და, მაშასადამე, სხვასაც ვერ გადასცემ  
და იმას, რაც სხვისგან არ მიელო... იგი  
მხოლოთ ერთია....

აზილა თიხა და თვისი მზგავსების  
გასახიერებას შეუდგა... ფხზე დააყენა  
უსულო ქმნილება და, სადაც კი უს-  
წორმასწორო ადგილები შეამჩნია, შე-  
უსწორა, რომ იგი პირველი ადამიანი თვი-  
სი სილამაზით კმაყოფილი ყოფილაყო და  
სრული... უსულო ქანდაკების ასამოძრავე-  
ბლათ საჭიროლა იყო სულის ჩაბერვა... აქ  
მეუფე, ცოტა არიყოს, შეფიქრიანდა... ვაი,  
თუ... იფიქრა მეუფემ. მარა მაინც რა მა-  
ფიქრებს. სულერთია, ცოცხალიც ჩემ ხელშია  
და მკედარიც. რქვა და ჩაბერა სული... ქან-  
დაკებამ თვალები დაახამაშა... მათელი სხე-  
ულით ამოძრავდა... იგი უგრძობელი იყო  
და დაულაღვათ იწყო სირბილი... გონება  
ქონდა, მარა ვერაფერს გრძნობდა. ამიტომ  
ფიქრიც არ შეეძლო... მეუფემ მიიზიდა  
დაფრთხალი არსება და ცეცხლი ჩაკვესა...  
პირველმა ადამიანმა იმწამსვე იგრძნო ძლი-  
ერება მეუფისა და მადლობა შესწირა მას.  
ამავე დროს საკუთარი უძღურებაც იგრ-  
ძნო და პირის სახეზე უკმაყოფილების იერ-  
მა გადაკრა. დალონდა იგი...

—მარტოს მოგწყინდა, არა? კითხა მეუფემ.

—არა, მეუფეო, მე სულ სხვა ფიქრი  
მტანჯავს და მადლეებს, სახელდობრ ის,  
რომ უფრო უვიცი ვარ, ვიდრე ბოროტი... თუ  
უვიცობა დასაწყისია ბოროტებისა, ყველა-  
ფრის ცოდნა მე მაქცევდა, მიუცილებლათ,  
სრულ კეთილ კაცათ...

—მაინც რა გინდა, რომ იცოდე? მე-  
უფემ ღიმილით გამოკითხა მას...

—სურვილი მაქვს ვიცოდე დასაბამი  
ამა სოფლისა...

ჰი... ნელის ღიმილით ჩაიციხა მეუფემ.

როგორც გეტყობა, მე მეცილები... კარ-  
გია, შენმა მზემ! მადლობაც ასეთი უნდა...



პირველ კაცს შერცხვა და გაწითლებულმა თავი დახარა...

—მეუფეო, შემინდე შეცოდებანი ჩემნი... მხოლოთ, გთხოვ, ჩემს ბოროტებას მიეც სიმშვიდე, თორე დავიწვი...

—იყოს ნება ჩემი, რქვა უფალმა და თვალებში ნერწყვი ჩააწვეთა... პირველი კაცი მუხლებში ჩაიკეცა და აქვითინდა... ის იყო ცრემლი... მას შემდეგ, უძღური აღამიანი ბოროტების ცეცხლს უილაჯო ცრემლით აქრობს და ძღვევა მოსილი ყველაფერს სწევას, ყველას აძაბუნებს...

ცრემლს პატივი ეცით და ნუ შეიბრალებთ...

სან — ტარი.

## ერისტო.\*)

(დასასრული)

დესპინემ გააზიარა ყანები, ეზოს-კი თავთ ამუშავებდა, ყოველ დღე ანგარიშობდა, თუ რამდენი უკლდა მის ქმარს ჯამაგირის აღებადღი.

ერისტო ღამ ღამობით ხშირათ მოდიოდა ცოლშვილთან.

—ნამეტანი ბევრი საქმეა საკეთებელი, ვეღარ გოუძელი, მოგკვტი კაცი!-ეუბნებოდა ის დესპინეს.

—რაცხა ფერათ გეიჭივრე ამ ცოტახანს, აპა, რას იზამ! „გაქვირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“, ხო გაგიგონია.

უკვე ექვსი თვე ქონდა ნამუშევარი ერისტოს „კნიაზისას“ და ფული კიდევ არ მიეღო. მალე გამოგზანის პავლე და მოგცემო, პირდებოდა „კენინა“.

—რას შობა, ი სახკარ დასაქცევი, ფულს აღარ გვაძღვეს?! ოცი ბათმანი სიმიდი ვისესხე თედორიდან და მარჩობს ი კაცი. ორი დღის საყოფი, თუ იქნა ქვლი, მე-

ტი აღარაა და, რას გიპირობს, არ იძღვევა, თუ იცი?!—ეუბნებოდა ერისტოს ცოლი.

—დალუპოს ღმერთმა მისი ოჯახი, რა ვიცი, დღეს-ხვალ, დღეს-ხვალა, იძახის და ჯერ არაფელი ეშველა და... ათი თვე გაეთავებია ერისტოს და ფული კიდევ არსათ ჩანდა!

—ქენი სამადლობელი საქმე: ფერფლი ქვლი არა მაქ სახლში, ბოვშები მიწყდება და მიმეგზავნე ერთი მოციქულათ, მომცეს ჩემი ნამუშევარი, მა ურჯულომ, მა მოუნათლაგმა. ექვსი თვის უკან უნდა მოეცა ფული და კაპიკი არა მაქ მიღებული! ამდონი მოცთა სად შემიძლია მე! გაქვირებული ვიყავი და მიტო დავდექი მოჯამაგირეთ, თვარა, მდიდარი რო ყოფილვიყავი, მაგასთან რა მინდოდა!— ეხვეწებოდა ერისტო აზნაურ სტეფანე ქაღარაძეს.

—რავა, ჯამაგირი კილო არ მოუტია? სამჯერ გამოუგზანა ქმარმა ფული და რატო არ მოგცა?! აი, ასეთი არაწმიდაა მაგი.

—ემშაკმა იცის მაგისთავი, რავიცი, არ გამოუგზანია შენი მოსაცემი ფული ჯერო, იძახის და მე-კი ამომივიდა სული ამდონი ცდით!

ბევრი იარა სტეფანემ მოციქულათ, ბევრი ელიტინა ერისტომაც, მარა არ იქნა, „კენინა“ სულ უერთსა და იმავეს ვაიძახოდა: სადაცაა მოვა პავლე და მოიტანს ფულესო.

გაუვიდა ვადა ერისტოს და ფული კიდევ არსად ჩანდა. მოციქულებს მოციქულებსზე უგზანდა „კენინა“. ხევწით რო ვერაფერს გახდა, მუქარას მიმართა: გადაგწვავ, აღარაფელს დავაყენებ შენს ბარობაზე, მომეცი ჩემი სიმწრითა ნამუშევარი ფული, თვარაო... მარა მაინც არაფერი გაუვიდა.

უზომო გაქვირებაში ჩავარდა საცოდავი ერისტო. კაკალი სიმიდი არ მოეძებნებოდა სახლში და არსაიდან არავითარი საშვალემა არ ქონდა, რომ ეყიდა. ჯამაგირის აღების იმედით ვალებიც წამოდობოდა და ძალიან აწუხებდენ მევალიეები...

\* იხ. „განთიადი“, № 12.

მიუფერდები და ამოვწყვიტავ ცოლშვილიანა! რა მიქნა ვგი, რავე გამოიჭრა ყელი, ყოველი ოთხი თვის შემდეგ უნდა მოეცა ფული, აგერ, ორი თვე გადაცილდა წელიწადს და კიდევ არ მოუკია! საზოგადო იგი ჩემგან?! — ყვიროდა გაცეცხლებული ერისტო.

— ჩამოთრეულაო და ცხენი ვაუფხანია დღეს ქუთისის მოსაკითხავათ მის არ გადასარჩენ ცოლს. ეგება ახლა მაინც მოუცეს, დაამშვიდა ერისტო ცოლმა.

სალამოს გასწია ერისტომ „კნიაზისას“. ნუ მოვიცია და გაყურებებ შენ სეირსო, ბუდბუტობდა ის გზაში.

— კნიაზი დაღლილი იყო და დევიძინა, ხელოდილას მოდი! უთხრა კნენიამ.

— არ კმარა, რაც მაწვალეთ?! წელიწად ნახვეარია ფული და კილო მოვიცადლო? თქვენ მაძლარი ხართ და მე რომ შიშლილი მებოცება ცოლშვილი, იმას არ ვაბუჯლობთ? გააღვიძე და მომკეს ჩემი ფული!

— ახლა რომ გავადვიშო, გული მოუვა, ისევ მეიცადე ხელოდილამდი, უთხრა კნენიამ და შევიდა სახლში.

ერისტომ გააყოლა მას თვალი, მიდიანათ დააგინა ორივე ცოლქმარს და დაბრუნდა უკან.

პავლეს კიდევ გამოღვიძებოდა.

— რაზე იყო ერისტო? — კითხა მან ცოლს.

— ფულს თხოულობს.

— რის ფულს?

— ჯამაგირს.

— აკი გამოგიგზავნი.

— ის სხვა საჭიროებას მოუნდა.

— რას ქვია სხვა საჭიროებას მოუნდა. მე მანათის პატრონიც არა ვარ და საიდან მიეცე, აბა, ახლა! იმ დალოცვალმა ღმერთმა, რაზე დამსაჯა ისთე, რომ შენი თავი მტანჯველათ მომივლინა, შენ სახლკარ დასაქცევო, იმდენი ფული გამოგიგზავნი და მოჯამაგირეც არ გავისტუმრებია? რა გამიკეთე აქანე! სახლი იყიდე, კარი იყიდე, თუ რა? ბოვშებიზა მაინც ჩაგეცმია რამე,

ტიტველი რომ დადიან? მიყევი აქანე ქეფობას ხელი და გამოკაშე სიმწრით ნაშონი ფულენი?!..

— ბევრს ნუ ყვირი! არაფელი გამოგიგზავნია იმდენი, რომ სალაპარაკო იყოს. მა მოჯამაგირეს სულ არ ერგება ფული, უწინ რომ მოგვდიოდა, მისი მესამედიც არ მოუწევია წელს არაფელი. ხარი მაგის წყალობით მოკვდა და სხვა რამდენი ზარალი მოგვაყენა, ვინ იცის..

— ოჰ! შენი ურტხვი თავი არ იყოს, ბარემც, ახლა მარი გინდა მოდვა, არა? მეორე დილას კვლავ გემშურა ერისტო პავლესას.

— კეთილი იყოს თქვენი მომძინება, კნიაზო-დაუკრა მან თავი პავლეს.

კნიაზს ცოვა ოჯღომა დაასხა მის დანახვამ: ნეტეი, დატეხილა ფეხები და არ ჩამოხლევიყავიო, გაველო მან გულში. სირცხვლისკან გაწითლესული წამოვდა ზეკვათ, მისაღმა და სკამი შესთავიზა.

— მიდლობო, მარა დასაჯლობათ აღარ მცალია, ეგება მიქნათ სიკეთე და მიბოძოთ, რაცხა ორი გროში მტრებმა.

— უკარავათ ვარ, ჩემო ერისტო, ნამეტანი, მე შენ ახლა გასტუმრებულო მე გონე, შენი მოსაკეპი ფული დიდი ხანია გამოგვგზავნი.. მარა კნენას ქე გოტხარჯავს, ცოტა მომიტინე, გავბრუნდები და მალე გამოგიგზავნი, შოღნიშო უთხრა „კნიაზმა“.

ამ სიტყვების გაგონებაზე ერისტოს ფერი დაეკარგა, მუხლები მოეწვრა, და რომ იქვე მდგომ სკამს არ დაეჯენოდა, შგონი, კიდევ წაიქცეოდა.. შემდეგ, დანაშთან მოგრია ბრაზი და შორათო ყვირილი, რომ ცოცხალი არ წავალ აქიდან, თუ ჩემი ნაოფლარი ფული არ მომეცითო..

— მე პატროსნათ გელაპარაკები და შენ რომ ყვირი, რა ამბავია. თუ გინდა, მოაკადე ცოტა და გამოგიგზავნი, თვარა და ახალე კედელს თავი! — შეყვირა გულმოსულმა პავლემ.

— კილო მევიცადო?! მე არ ვიქნები

ერისტო ყვაებაჲ, თუ შენ ცოლის რუბკა არ აგიწერე!—მიასახა ერისტომ და გავიდა გარეთ.

ერა კვირა დღეს, წირვა გამოსული იყო, მიიყვანა მან პავლესას სასამართლოს ბოქაული.

„კნიაზი“ სახლში ბრძანდებოდა, ბოქაულმა აწერა ბეღელი, სამხარეულო და სახლის მოწყობილობა.

ერისტოსტოს, ჯინის ამოსაყველათ, ძალიან გულით უნდოდა კნინას ტანთსაცმელიც აეწერა და ის იყო გააღო შვაფი ტანისამოსის გამოსატანათ, ეცა მას „კნიაზი“ კისერში, დასცა იატაკზე და ისეთი ძალით დაუწყო გვერდებსა და ცხვირპირში ჩექმის ქუსლებით ცემა, რომ ერისტოს ყვირილზე ყველა მეზობლები შეიყარა!...

შეშინებული ბოქაული იმ წამსვე გამოვიარდა გარეთ, მოაჯდა ცხენს და ქენებქენებით გაქუღლა!...

ცხვირ პარ დამტვრეული ერისტო ურბით წაიყვანეს თავის ფაცხაში...

ბოქაულს ოქმი შეეყენებია პავლეს მოქმედებაზე. მარა „კნიაზის“ ერთი ახლობელი ნათესავის დახმარებით, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა სასამართლოში, ოქმიც დაახვეიეს და საქმეც მიაფლქეზებინეს!...

ერისტო ერთი თვე იწვა საწოლში, ძლივს გადარჩა.

ხელმეორეთ მიიყვანა მან ბოქაული „კნიაზის“ საცხოვრებლის ასაწერათ. მარა კნიაზ პავლეს არაფერი აღარ აღმოაჩნდა, ყველაფერი სხვისთვის გადაეცა.

ქ — შორელი.

ქართულ მამადიანების მწერლობა —  
სეკლავნების შესახებ.

საყურათლებოა ის, რომ ახლანდელი ჩვენი ზრუნვა პატრონობის სავანი ჩვენი მოძმე, გამამადიანებული ქართველები დიდ ნიქს და

ხელოვნებას იწინდენ ძველათ ქართულ ლექსობა-გალობის შემოქმედობაში.

მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული რთული მუსიკალური ხმოვანებით შეზავებული სიმღერა „ხასან ბეგურა“ რუს-ოქმალთა ბძოლაში, ყირიმის ომის დროს, სახელგათქული სარდლის, ხასან ბეგ (ხასან-ფაშა) თავდგირიძის გამოგონილია და, შემდეგ, ხალხურათ გადაქცეულა.

სამწუხაროთ, ქართული სიმღერები ქუსიკალური ხელოვნების მცოდნეთაგან ჯერ კიდევ არის იღნიშნული და ჯეროვანათ დაფასებული. მოვა დრო, თუ დახელოვნებული, ნახაწაველი და ნიჭიერი კომპოზიტორები გვეყოლენ „ხასან-ბეგურას“ „ქობლეთურ ხელ-ხეავს“ „მაყრულს“ და სხვა მრავალ გამამადიანებულ ქართველებისგან შექნილ სიმღერებს უპირველეს ადგილს აკუთვნებენ ჩვენ მუსიკალურ ხელოვნების ისტორიაში.

მთელი დიდი ტრაგედია ჩვენი მოძმე მამადიანი ქართველების ის იყო, რომ კულტურით, ისტორიით, სულიერის განწყობილებით, ნათესავური და მეგობრული დამოკიდებულებით ზუდამ მოძმე ქართველებთან იყვენ დაკავშირებული და პოლიტიკური გარემოებით. ეს მათი მიმართულება, აზრი, მოქმედების გეგმაც სულ სხვადასხვა იყო... ჩვენი ისტორიის მკვლევარნი და ჩვენებური ძველი ლიტერატურა-ხელოვნების სწავლა-ძიების მსურველნი დღემდის იმ აზრის მიმდევარნი იყვენ, რომ, რაკი გამამადიანებული ქართველები სარწმუნოებით დაგვმორდენ და პოლიტიკურათაც გასხვავებულ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას შეეთვისენ, ჩვენ შორის თითქოს კავშირი გაწყვეტილია ყოფილიყოს. არც ერთ ჩვენებურ მწერალს დღემდის არ მოუწადინებია გავეცო მოსახრება-შეხედულობა, სოფლ-მხედველობა ჩვენი მოძმე მამადიანების მოთავე კაცების. ყველგან ისტორიის წერის დროსაც და თვით ცხოვრების დამოკიდებულებაშიც ადამიანი იმ გრძობა-განწყობილების გავლენის ქვეშ იმყოფება, რომემელიც მის გარშემო არსებობს. ამიტომ გასაკარალი არ არის, რომ რუსის სამფლობელო

ში და მართმადიდებელ სარწმუნოების გავლენით აღზდილ ქვეყანაში მყოფი მწერალი, ყოველთვის თვისი ნაწარმოების შექმნის დროს, იმ აზრებით და შეხედულებით ხელმძღვანელოდეს, რომელშიდაც ის აღიზარდა. რუსული შკოლის გავლენას მოკლებული ისეთი მწერალიც კი, როგორც ჩვენი ძველი ცხოვრების უანგარო მკვლევარი-ზაქარია ჭიჭინაძეა, სრულიათ უნებლიეთად ემორჩილება საერთო გავლენის ძალას. როცა რუს-ოსმალთა შეჯახება-ომის დროს მოპირდაპირე ბანაკში სარდლებათ ჩვენსავე მოძმე მამადიან ქართველებს ხედავს, იმათ მოღალატეს უწოდებს (ასეთია მისი ნაწერი ალიფაშა თავდგირიძის შესახებ). თითქმის ოსმალეთის ქვეშევრდომი-ქართველი ვალდებული ყოფილიყოს მართმადიდებელ ქართველებთან ერთად რუსის ინტერესო დაეცვა.

მართალია, ყოველ ოსმალეთთან ომიანობის დროს, რუსის მთავრობის წარჩინებული წარმომადგენელი საქართველოში იმ მიმართულებას ადგენს, რო ქართველი მართმადიდებელი გავლენიანი და ნათესავური დამოკიდებულებით დაკავშირებულნი ოჯახის შვილნი შეამდგომლათ და ხილათ გაეხადათ მამადიან ქართველებთან. მარა იმათაც პოლიტიკურ რწმენაში, ისეთივე ერთგულება და გაბედული მომხრეობა გამოიჩინეს თვისი მთავრობის, როგორც მართმადიდებელმა ქართველებმა რუსეთის.

დიდათ სამწელო მდგომარეობა იყო ჩვენი მოძმე მამადიანების, როცა მათ გულითადი მეგობრები, ნათესავები, ყოველნაირი სულიერი თვისებით მათთან დაკავშირებულნი-რუსის მთავრობისგან ნდობით და ნივთიერი დახმარებით აღჭურვილნი, ესტუმრებოდენ მათ. მათ ოჯახში ჩვენებურ ხალხის მხიარულების დროს, პოლიტიკურ რწმენის შეცვლის შესახებ ბაასს ჩამოუვდებდენ და ყოველნაირ მატურ ზომებს ხმარობდენ მათ დასაყოლებლათ და თავიანთ სურვილების შესასრულებლათ... ამნაირ გარემოების სხვერპლი გახდა დიდათ ნიჭიერი სარდალი, ხასან-ბეგი (ხასან ფაშა) თავდგირიძეც. ის დიდი მეგობარი იყო ბევრი წარჩინებული ქართველების, დიდი მომღვინი და ჩვენებური შნო თავმოქმონობის დიდი მოტრფიალე. ყირიმის

ომის დროს, როდესაც ოსმალეთი შემოესია გურიას-ხასან-ფაშა ნდობით შემოვიდა თავის მოძმე ნათესავებთან. მან მოლაპარაკება გამართა მათთან. მარა გურულები უცბათ, მოულოდნელათ, თავს დაეცენ მის მკირედ ჯარს გათხრილის ძირში, და გურიაშიც სახელ გათქმულ-ხალხთან სიმღერებით შეთვისებული რაინდი ხასან-ბეგი მოკლეს და მისი თავი რუსის მთავარ სარდალს მიართვეს... ამ გარემოების შესახებ ლექსი აქვს დაწერილი ყარაიმან თავდგირიძეს, რომელიც ბიძაშვილათ ერგებოდა ხასან-ფაშას.

„ხასან ფაშა ჩემი ძმაი, თავმოქრილი  
დავინახე...“

თუმცა იყო მტერი, მარა, ვაი შეთქი  
დავიძახე!...

მან გადამწვა წინ კვირაში, მით  
მიეგო ცული მახე,  
მარა, რადგან ძმაი იყო, ბოლოს, კიდევ  
მე დავმარხე“.

ხასან ფაშა დამარხულია გათხრილის გზის აღმართში და ეს ლექსი აწერია საფლავის ქვაზე. ეს ლექსი დღეს გავრცელებულია ხალხში-ხელხვავის და „ხასან-ბეგურის“ სიტყვებათ. ხასან-ფაშა კარგი მკოდნე იყო ქართული ლექსობის. მისი ლექსებიდან მხოლოთ ერთი მოვძებნე, ჩვენი ოჯახის წევრთ შორის შენახული. ეს ლექსი მოწერილია გურულ მანდილოსნისადმი ხასან-ფაშასგან, რომელიც ყოველთვის ხალხისგან განწყობილებით ეპყრობოდა ყველა ნაცნობებს:

ქალო, შენ გაქებს ყოველი, ადამიანთა  
ენები.  
ზიხარ გონივრათ ვაზდილი, ადვილათ არ  
იხსენები;  
თვალ წარბზე ია ჩამოვდის, ლოყაზე ვარდის  
ფერები,  
ღეთის მადლმა, გულით მიყვარხარ, პირში  
არ მოგვეფერები!...

უეჭველია, ბევრგან არის გურიაში, ყვრძო ოჯახთა შორის, განსაკუთრებით თავდგირიძეების\*) ნათესაობაში ამნაირი ლექსები. დიდი

\*) გურიაში მსხვერპნი და ქობლეთ-აქარაში დარჩენი-

მადლობით მივიღებთ და ვისარგებლებო „სახალხო ლექსების“ აღწერა-განმარტებისთვის ამაირ მასალებს, თუ კი ვინმე მოგვაწვდის.

ნიკო თავდგირიძე.

ქ. სოხუმი. მარამოხისთვე. ამ 1915. წ.

# სალაებო წერილები.

2, VIII, 1915.

თუ მოშაირის შემომქმედობას აღვიარებთ სულის ისეთ მდგომარეობად, როცა ქმნილება ნაყოფია აგრეთვე შეუფენებლობისა, მაშინ მოშაირე ბრძენია, წინასწარმეტველი, რომელსაც ძალუძს განსკვირტოს ქმნალი და ყოფალი, ის თუ, რაც უნდა იქნეს და იყვეს. ასეთი შეუფენებლობით შემომქმედობის ბეჭედი დაჰსმია უცილოდ ვეფხის ტყაოსნის ერთს ადგილსა—ქაჯეთის ამბავსა.

ბევრმა, შეიძლება, არც-კი იცოდეს თუ, ქაჯი რას ჰნიშნავს. ქაჯი სომეხთათვის მხოლოდ ღონიერს იტყვის, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა საარაკო გრძნეულ რასმე უნდა ჰნიშნავდეს. ასეთია მათი სიტყვა ქაჯაჰვ, სახელი იბისის, ანუ ეგვიპტუსი საარაკო მფრინველისა. ქართულად კი, უფროს ერთ შემთხვევაში, ქაჯი საარაკო ნაოცნებარი გრძნეული სულიერია, იმერეთში აღის მსგავსი. მაგრამ ზოგჯერ არც თუ წმინდად სა-

ლი გვარი თავდგირიძეების ერთი ბაბუის ჩამომავლობა არიან. უწინ-პირველი შემოვრთების დროს, ოსმალეთის მთავრობა სარწმუნოების შეცვლას არ თხოულა და წარჩინებულ გვარიშვილებისგან. ბოლოს, როცა უმაღლეს თანამდებობაზე ნიშნავდენ ქართველ თავადიშვილებს, მოთხოვდენ მამადის რუკულის მიღებას. ამ მიზეზით, რუსეთთან შეერთების უკანასკნელ წლებში, **მამუკა თავდგირიძე** დატოვა სოლ-შვილი ქობლეთში და თვით რადენიმე აზნაურებით და გლეხებით მიენდო გურიელს. გურიელმა გურიის ყველა სოფლებში დაუთმო თავდგირიძის კაცებს (აზნაურებს და გლეხებს) თავისუფალი მიწა—წყალი. გურიაში შეირთო მამუკის შვილის ქალი მამუკამ და ეყოლა ხუთი შვილი: მიხარბეგ-ყარამან თავდგირიძის მამა; ალექსანდრე-ნესტორ თავდგირიძის მამა; სოლომონ, გიორგი და ფრიდონ.

ავტ.

არაკო სულიერს იტყვის ქაჯი. ასეთია ვეფხის ტყაოსნის ქაჯი. როცა ფატმანმა უამბო აეთანდილოს ნესტან დარეჯანის ქაჯთამიერ შეპყრობის ამბავი; აეთანდილოს ალი მოსდო იმ ქალის სიბრალოულმა. აეთანდილოს ქაჯი წარმოედგინა მხოლოდ სულად და, ამის გამო, ჰკითხა ფატმანსა,

მაგრამ ქაჯნი უსოფრტონი რას აქნევენ, მიკვირს ქალის?

მაშინ ფატმანმა მიუგო, მამისმინე,

მართლაც გხედავ მანდა მეროაღსა, არ ქაჯნია, კარიათ, მიხდაბან კლდეს საღსა, ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, ანაან ერთად კრებულნი, კაცნი, გრძნების მტოდნენი, შედან გახელდუნებულნი, ეოველთა კაცთა მანგებანსა, იგი ვერვისგან ვნებულნი; მათნი შემხმედნი წამოივკენ დამბრმანნი, დაწბილებულნი, იქმენ რასმე საკვირველს, მტერს თვალსა დაუმრმობენ, ქართა აღმრვენ სმანელთა, ნაეს ზღვა-ზღვა დამბობენ, ვითა ხმელსა გაარბენენ, წყალს წმინდად დაშრობენ, სწადდეს, დღეს ბნელად იქმენ სწადდეს ბნელს ანათობენ. ამისთვის ქაჯად უხმობენ, გარეშემონი ყველანი, თვარა იგიცა კაცნა ჩუანებრვე სორციელანი.

მაშასადამე, ქაჯი ხორციელი კაცი ყოფილა, მხოლოდ გრძნების მტოდნე და დახელოვნებული ასე, რომ მტერს თვალს დაუბრმავებდა, საშინელის ქარის აღძვრით ნავს ზღვა-ზღვა დაამხოდა, როგორც ხმელეთს გაირბენდა, წყალს წმინდად დააშრობდა, დღეს ბნელად აქცევდა, ხოლო ბნელს ანათებდა. აწინდელი საქვეყნო ომის დროს ხმა-

რებული თვალის დამყენებელი და სულის შემხუთველი გაზი, წყალქვეშ მავალი ნავი, ჰაერობლანი და სხვარამ ამგვარი მანქანება, ნუ თუ არ მოგვაცონებს სახელოვან ქაჯთა გრძნებას? კაცის გონება მისწვდა მიუწლო-მელსა და შოთა რუსთვლის წინასწარმეტყველებამაც იგივე განსჭვრიტა შვიდასი წლის მანძილზე.

\* \*

ძველათ, როცა უტხოვითი გაბატონდებოდა საქართველოში, ქართველთ სამეფოს დატოვებას ხშირად საქიროდ ჰპოებდა, რომ პატრონ-ყმობის საფუძველი უფრო მტკიცე ყოფილიყო. ის დრო ისეთი იყო მასთანვე, რომ ხვეწნა მუდარას ქვეყნისთვის რამ წყალობის მისაღებად ბოლო არ ჰქონდა. რა საკვირველია, ტახტის მემკვიდრის გამეფებისთვის ცდა უფრო პირველ რიგზე იქნებოდა. ისედაც იყო. როცა ტახტის მემკვიდრეს მოცილე არ ჰყვანდა, მისი გამეფება სულ ადვილი იყო. მაგრამ, როცა საცილო იყო ტახტი, საქალაქოებრივი დასანი თავთავიანთი კანდილატის გაყვანას სცდილობდნენ და საქმე მაშინაც პრაგდებოდა. ასეთი ამბავი მომხდარა თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ, როცა მის უნიკო და უზნეო ქალვავთ—რუსუდან დედოფლის და გიორგი ლაშას ვაჟნი ორნივე დავითნი წარუდგენიათ ყვენიისთვის მათ მომხრეებს დასამტკიცებლად საქართველოს ტახტზე. მართალია, მუდალთ შეხედულებით ორ მეფობა ქვეყანას აპრედა და მის დანაწილებას მოითხოვდა, რაც მათ გაუადვილებდა ბატონობასა. მაგრამ ისიც მართალია, რომ ორთავ დასთ თავიანთი კანდილატები გაუყვანიათ ასე, რომ მათი ხვეწნა მუდარა უნაყოფო არ ყოფილა. შემდეგ დროებში, საქალაქოებრივი მდგომარეობის გაუარესებას მოჰყვა ჩვენი წინაპრების დაბეჩავებაც ასე, რომ გაუკუღმართებული ქვეყნის ბედის გამოკეთების შნო თანდათან დაეკარგათ, ვიდრე, ბოლოს, თვითვე არ გაჰხდნენ სამშობლოშივე ბედმწირნი. რათა? იმათა, რომ დაავიწყდათ ბრძნუ-

ლი ანდაზა, ცდა ბედის მონახვერეაო. ცდა ეგონათ მარტო ხვეწნა, მოკონება, რაიც, რასაკვირველია, მთელს კი არა, ნახვეარ პელსაც ვერ სწედა. დღეს ხომ დავმსგავსებდით იმ არა საპყარ მთხოვარას, რომელსაც ყოველი თავმოყვარეობა დაჰკარგვია და არ იშლის, მისალმების შემდეგ, სამოწყალო სთხოვოს იმავ პირს, ვისგანაც მუდამ უარი ესმის. ნათქვამია, ერთმა მცონარე კაცმა ღალად ჰყო, ღმერთო, მიშველეო. ღმერთმა უთხრა, ხელი გაანძრიე და ნაშველი იძნებო. ცხადია, ეს თქმულება იმისთვის შეუთხზავს ხალხის სიბრძნესა, რომ ცხად ეყო, ღმერთია იმისკენ, ვინც ჰმუშაობს, ჰმოქმედებს, ხვალისთვის ზრუნავს სიტყვით კი არა, საქმითაო. ეს მათქმევინა შემდეგმა გარემოებაში. ყოველ შემთხვევაში მზათა ვართ, სადაც კი იქნება, კინც-კი იქნება, მოვაყოლოთ, ჩვენს მრავალ ტანჯულ ეკლესიას ბევრი რამ სკირია, კიდევ ემართლება და გთხოვთ, დააკმაყოფილოთო. ან ჩვენი ხალხი იმდენათ მომზადებულია, რომ ერობის სიკეთეს ცხოვრებაში გიმოიყენებს, და გთხოვთ, მისცეთო.

ივერიის ეკლესიის საქიროება თვით ქართველმა ღვთის მსახურმა უნდა იგრძნოს, მისი სინართლე გამჟვალული უნდა ჰქონდეს და სულით და გულით სწამდეს ის, რასაც ემსახურება ასე, რომ მისი სარწმუნოების გულწრფელობა ექვემდებარებული უნდა იყვეს მორწმუნეთაგან. ნათქვამია, სარწმუნოება მთასაც ძრვას უზამსო და ქართველი ღვთის მსახური, თუ შეგნებული მორწმუნეა, წამებით ქართველია, თავისი ეკლესიისა და მრევლის საქმეს წინ ვერ წასწევს იმდენად, რომ პატრიისკემის გრძნობა აღუძრას სხვა ერის ეკლესიის შვილსა? მაგრამ არა! ის ღვთის მსახური, რომელსაც სვეტიცხოვლის ტაძრის, —განახლებისთვის ზრუნვა რა ბრძანებაა—გალავანი ვერ გაუშენდია მორეული ბალახბულახისგან, ვერ წაუბაძავს „გლახის ნამბობის“ მოძღვროსთვის ღარიბი ბავშვების სწავლებით მაინც; ის ღვთის მსახური, რომელსაც დაჰკარგვია ქვეყნის მოკირანხულე წინა

პრების სახელის პატივისცემა და მათი საფლავი, მაგალითად, დავით აღმაშენებლისა გელათში ჯორის, თუ ცხენის დასაბმელ ადგილად გადაუტყვევია—დიდი ხანი არ არის, ხსენებული საფლავი დიდებული ქართველისა იხსნა უპატიურობისგან განსვენებულმა მამა დავით ღამბაშიძემ—ვერ ჩამოუგვია საუკუნებრივი მტვერი, რომელიც აყრია ახალ ელადის, ესლა მარტო ოდენ უმეცრების ბუდის გელათის ტაძრის კედლების ფრესკებსა; ის ღვთის მოძღვარი, რომელსაც თავს დანგრევია ტრაპეზიან კანკელიანად მესამე დიდებული ძეგლის მარტვილის ტაძრის ეკვდერი და ვერ მოუხეხებია მისი შეკეთება, აღვიარებ, განვილილ ღღეა ბედნიერებას ვერ დაუბრუნებს პატივაყრილ ივერიის ეკლესიასა. ვინც თავის პატივისცემა არ იცის, იმას სხვისგანაც მოაკლდება პატივისცემა.

(დასასრული იქნება.)  
**პეტრე მირიანიშვილი.**

**კ რ ი ტ ი კ ა ჯ \***

ილია ჭავჭავაძე, როგორც ღირსიკოსი —პოეტი.  
 (27 ლეინობ. 1887—30 აგვ. 1907 წ.)  
 ნეტა, ვინც კარგი საქმით  
 აღნიშნავს თავის დროსა,  
 ის იქვე ეწაფება  
 უკვდავების წყაროსა!..

**ილ. ჭავჭავაძე.**

ილია მეთერთმეტე წელში იყო გადამდგარი, როცა მამამ იგი კახეთიდან ქალაქში ჩამოიყვანა და მიაბარა იანიშვესკისა და ჰაკეც პანსიონში. ეს პანსიონი ყველა მაშინდელ კერძო სასწავლებელზე უკეთესი იყო და იქ აბარებდნენ შვილებს უფრო შეძლებული მოხელენი და ზოგიერთი თავადაზნაურიც.

ილია თვით იგონებს ავტობიოგრაფიაში პანსიონსა და გიმნაზიაში თავის ყოფნას. მარა ძალიან მცირე ცნობას იძლევა

\*) იხ. „განთიადი“, № 12.

მაშინდელ სწავლა-აღზრდის შესახებ.

„15 წლისა ვიყავიო, — ამბობს ილია: როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი. მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინიო კი ისევ პანსიონში ვიყავი. პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკეე. ჰაკეე გერმანელი იყო, ყოველ მზრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიდგარტმა თვისი შვილების აღსაზრდელბობა; ხოლო ნეიდგარტის შემდეგაც, თვლისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან (?) ერთად პანსიონი დაარსა. ჰაკეე სასტიკი კაცი იყო, მარა თან იმდენ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა თვისი შვირდების მიმართ, იმდენს ცდილობდა და ყურს უკვებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივს გავიჯარებას, რომ თითქმის მთელ თავისუფალ დროს, კლასში მეცადინობის შემდეგ, იმათ ანდომებდა: ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა და მართავდა ხელდა ხელ კონცერტს როიალზე, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა“.

კობტა აფხაზის სიტყვით, ილია როცა 13-14 წლისა იყო, მან დაუწყეო ტრფიალი ვინმე ტერ-ასატუროვის ქალს. ტერ-ასატუროვის ქალს მალე მოყვა ჩვენი გიმნაზიის დირექტორის, დემენტიევის ასული. მარა ამ გატაცებამაც ისე ჩაიარა, როგორც ტერ-ასატუროვის ქალისა და ილიას სიყვარულმა“. გიმნაზიაშივე სწავლის დროს, ილია გაიტაცა გარბალდის უშესანიშნავესმა, საარაკო — ბძოლამ თავისუფლებისთვის და ჩვენს იშვიათს ქაბუქს აღედრა დიდი სურვილი — ვოლონტერათ წასვლისა...

1857 წელს, გაზაფხულზე, ილიამ თფილისის დღეინდელი პირველი გიმნაზიის კურსი დაამთავრა და პეტროგრადს გაემგავრა უნივერსიტეტში შესასვლელათ. ახლა ილიამ ძალიან ახლოს იგრძნო ახალი ცხოვრების, ძლიერი განთიადის სიტკბოება, თავის ტოლ ამხანაგებს სიცოცხლით საესე ქაბუკი მხიარულათ ჩაერია და მგონობის პირველი სურვილიც ახლა გაუჩნდა სწორეთ. ეს პირველი

ლექსი მან შობებელ ყვარლის მთებს უძღვნა.

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი გა-  
ნებებთ თავსა...“

ილია ჩარიცხულ იქნა სტუდენტთა პეტ-  
როგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფა-  
კულტეტზე, საკამერალიო მეცნიერებათა გან-  
ყოფილებაში. ამ დროს ილია გაიტაცა გენე-  
რალ ჩაიკოვსკის ასულმა, ცნობილ რუს-კომ-  
პოზიტორის დამ, რომელსაც უძღვნა ორი  
მართლაც კარგი სალირიკო ლექსი:

უცხო თემის ყარობს მთქმელსა.

რათ აღმიგზენ სიყვარული?..

და მეორე — სატრფოვ, ხშირათ ლალი ფიქრი  
განმიტაცებს სუბუქ ფრთითა...

ილიას აქვს კიდევ ერთი სატრფიალო  
ლექსი, რომელსაც უკავშირებენ ე. მ — ს სი-  
ყვარულს:

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდს ბაღში  
მე და შენ რომ ერთად ვგზობდით?..

ილია ოთხი წელიწადი (1857-1861)  
იყო სულ პეტროგრადის უნივერსიტეტში.  
1861 წელს იქაურს უნივერსიტეტში დიდი  
არეულობა მოხდა, მთავრობამ უნივერსიტეტი  
დახურა და ილიაც იძულებული შეიქნა მიე-  
ტოვებინა უნივერსიტეტი და საქართველო-  
ში დაბრუნებულიყო უკვე ძალიან კარგათ  
მომზადებული სამოღვაწეოთ (იხ. იმისი შე-  
სანიშნავი ნაწარმოები იმ დროისა: „მგზავ-  
რის წერილები“).

ის დრო (1857-1861), როცა ილია  
სტუდენტთა იყო, დიდათ შესანიშნავი  
დრო იყო რუსეთისთვის. ყირიმის ომ-  
მა დიდათ დიდი ნაყოფიერი ზედ-მოქმედება  
იქონია რუსეთზე. პარიზის ტრაკტატმა აი-  
ძულა რუსეთის მონარქი ყმები გაეთავისუ-  
ფლებინა და იმპერატორმა ალექსანდრე  
II-ს „ზემოდან“ დაიწყო დიდი რეფორმის შე-  
მოღება, რომ არეულობა „ქვემოდან“ არ  
დაწყებულიყო. ომის შემდეგ, გამოფხიზლე-  
ბულმა რუსეთმა აშკარათ დაინახა თვისი  
დიდი სიგლახე ყოველიფერ საქმეში და ძვე-  
ლებურს ცხოვრებას, მიუცილებლათ, ბოლო  
უნდა მოღებოდა. რუსეთის ცხოვრება მო-  
ქალაქობისა და მრევველობის გზას უნდა  
დადგომოდა: საქირო იყო, როცა ვბა ვათავი-

სუფლებულიყო, ადამიანის შრომას ტყვეო-  
ბის კარი გაღებოდა და კაცის პირადობა  
გათავისუფლებულიყო. ამ დროს იმპერატო-  
რის გარშემო გამოჩნდნ და თავი მოიყარეს  
შესანიშნავმა სახელმწიფო მოღვაწეებმა: როს-  
ტოვეცკმა, კისელიოვმა, მილიუტინმა, სა-  
მარინებმა, სემიონოვმა, ლანსკოიმ და სხვე-  
ბმა. პეტროგრადის უნივერსიტეტიც სავსე  
იყო პირველ ხარისხიან მეცნიერ პროფესო-  
რებით: კოსტომაროვი, პიპინი, სტასიულე-  
ვიჩი, კველინი, სპასოვიჩი იყვენ მოძღვარნი  
და ხელმძღვანელნი მაშინდელ ახალგაზდო-  
ბისა და, მაშასადამე, ილიასიც. განახლებუ-  
ლი ლიტერატურის ახალგაზდა ბელადნი, ნა-  
მეტურ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუ-  
ბოვი, რომელთა პირ და პირ გავლენის ქვეშ  
იზდებოდა ჩვენი პოეტი ილია, ქუხდენ ტ  
ღელავდენ ქაბუკის სიმამაცითა და თავ და-  
უზოგველი დიდი და პატროსანი იდენს გასა-  
ხორციელებლათ. აი, ამ დიად, შესანიშნავ  
დროს პირდაპირ შეესწრა რუსეთში ილია  
ქაჯკავაძე და მთელი თვისი ძლიერი ტემპე-  
რამენტი და ტალანტი ჩვენმა ახალ-გაზდა-  
ქაბუკმა ამ ახალი, პატროსანი აზრების შე-  
თვისებას მოანდომა და იგი ამ ახლის იდეე-  
ბით და ცხოველის გრძნობებით დიდათ აღ-  
ტაცებული ჩამოვიდა პეტროგრადიდან თავის  
უსაყვარლეს, შვენერს საქართველოში.

ილიამ თვისი ფრიალ შესანიშნავი კრატ  
ტიკული წერილი 1861 წელს ეურნალ  
„ცისკარში“ დასტამბა. ამ წმრილმა ყუშბარა-  
სავით იფეთქა და შიგ გულში მოხდა მა-  
შინდელ გავლენიან მწერლებს: მგოსნებსაც  
და პროზაიკებსაც. ამ წერილმა დიდი ბძო-  
ლა ასტება და სალიტერატურო ქაობი ძალ-  
ზე შეინძრა. ილიამ პირველ წერილს მეო-  
რეც მიიყოლა, მეორე უფრო ძლიერი და  
გაბედულიც. ახლა-კი ილიას მუშაობა „ცის-  
კარში“ ყოველთა შეუძლებელი შეიქნა და,  
აი, მეორე წელსვე რუსეთიდან დაბრუნების  
შემდეგ, ილიამ დააარსა საკუთარი ეურნა-  
ლი „საქართველოს მოამბე“. ამ დღიდან იწ-  
ყება სწორეთ ჩვენში ერა ახალგაზდა საქარ-  
თველას ახალი ცხოვრების. „საქართველოს



მოამბეს“ გარშემო შამოკრბენ ილიას ტოლ-  
ამხანაფნი, მისი თანა მოაზრენი და თანამგრძნო-  
ბელნი. აქ პირველათ საქარაველოზში ატყდა  
დიადი, ფრიად საყურათღებო, ჯერ ჩვენში  
არც ნახული, არც გაგონილი ბროლა ძველი  
მწერლობის მიმდევართა და ახალგაზდა, რუ-  
სეთში ნასწავლ, ასე წოდებულ, თერგ-და-  
ლეულთაშორის. აქ პირველათ ჩაისახა ბძო-  
ლა მამათა და შვილთა შორის... ეს ეურ-  
ნალი, საქართველოს მოამბე“ იყო ჩვენში  
პირველი ევროპული ეურნალი, რომელმაც  
შის დიდათ ნიჭიერს რედაქტორს ერთბაშათ  
გაუთქვა სახელი მთელს მოწინავე ქართვე-  
ლობაში. ეურნალის დაკეტვის შემდეგ (1863 წ.),  
სახელმწიფო სამსახურს მოკიდა ხელი ილიამ.  
პირველათ ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთ-  
რებულ მინდობილებათა მოხელეთ დაინიშ-  
ნა და ბატონებსა და ყმებს შორის ატეხი-  
ლი უთანხმოების გამოკვლევა მიენდო.

1863 წ. 21 აპრილს თფილისში სამე-  
ბის ეკლესიაში ილიამ ჯვარი დაიწერა და  
ცოლათ შეირთო ასული თდ. თადეოზ გუ-  
რამიშვილისა, ოღლა, ქალთა ინსტიტუტში აზ-  
ლათ კურს დასრულებული. ილიას ჯვარის  
წერა მოგვაგონებს ბესარიონ ბელინსკის ჯვარ-  
ის წერას. ეს წესი აქაც ყოვლის ცერემონიის  
გარეშე ყოფილა და სულ ორის ეტლით  
მისულან მიფე დედოფალი და მეჯვარენი.  
თურმე, თადეოზ გურამიშვილს, დიდ და გო-  
როზ მემამულეს, სასიამოვნოთ არ დარჩენია,  
რო მისი ქალიშვილი შეირთო მცირე მა-  
მულ დედულის პატრონმა ქავჭავაძემ.

ილიას მეუღლე, ოღლა ყოვლათ კეთი-  
ლი, დიდათ სათნო ხასიათის ადამიანი, ამას-  
თანვე დიდათ მოსიყვარულე თვისი ქმრისა  
და მალმერთებელი მისი ნიქისა აღმოჩნდა...

„ერთხელ, ილია ისე გაერთო, თურმე,  
მუშაობით, რო თავს დაათენდა და კინალამ  
შვადლე მოვიდა. ილიას კაბინეტში-კი ლამ-  
პარი ისევ ანთია. კ—ნა ოღლა ძალიან შეფი-  
ქრიანდა, ვაი, თუ დაემართა რამეო და ში-  
შით ვერც თვით ბედავდა შესვლას, ვერც  
მოსამსახურე შეეგზავნა. ამ დროს „ივერიის“

რედაქციაში თავი უკვე მოეყარნათ თანა  
მშრომელთ და კენინამ ერთ-ერთს მათგანს,  
გასვენებულს, აღ. ნანეიშვილს მიმართა, მი-  
შველე რამე, ასეა საქმე და ლამის შიშით  
დავილიოვო. რედაქცია და ილიას ბინა მაშინ  
ერთად იყო. ნანია, როგორც ვუძახდით გან-  
სვენებულს, მაშინვე დაფაცურდა, შეალო  
კაბინეთი და ასეთი სურათი დაუხვდა: ილიას  
ზურგი შეექცია საწერ მაგიდისთვის და ღრმა  
ფიქრში წასულიყო.

—ბატონო,—მიმართა, თურმე, ნანიამ:  
შუა-დღეა მოტანებულთა, რაღა დროს ლამ-  
პარია?!

ასე იცოდა ილიამ. ბევრჯელ დათენე-  
ბია თავს გონებრივი მუშაობით გართულს.“ 7)

7) აქ, ბარემ, მეც დავეუმატებ ჩემს მოგონებას,  
რომელიც სწორეთ ამ მხრით ახასიათებს ილიას.  
1891 და 1892 წ. წ. ზამთრობით, თფილისში ვსხო-  
ვრობდი ნახალწლევს მოყოლებული მარტის თვემ-  
დი და საღამოობით, კვირაში, ერთხელ მიმც განსვენე-  
ბული, დიდათ ნიჭიერი ნიკო ხიზანიშვილი და მე  
ერთად ვეწვევოდით ილიას. ილია მარტო დაგვიხვდე-  
ბოდა ხოლმე თავის კაბინეთში სატახტო გაზეთების  
კითხვაში გართული, ან წინათვე გაკეთებულ გილ-  
ზეტში თუთუნს ტენიდა და პაპიროსებს აწყობდა.  
ერთხელ, კაბინეთში მიმინარეს შევეუსწარით. ხალიჩა  
წაგებულ ლამაზ პატარა ტახტზე ილიას ტანისამოსი-  
ანა ჩაძინებოდა და თავზე გაზ. „Новости“ ქონდა  
გადაფარებული. მე თვალი მოვარიდე და უკან დავა-  
პირე გამობრუნება. მარა ნიკომ ხელი მტაცა და  
კაბინეთში შემიყვანა. ილიამ თვალები გაახილა და  
ზეზე წამოდგა...

ილია დაიწყებდა თავის შესანიშნავ საუბარს კა-  
ხურ კილოზე და ჩვენც ვუსმენდით მას დატყვევებულ-  
საითო. მე, ღმერთო შეგცოდლე, მერიდებოდა, არ  
დავდლო ეს იშვიათი მაღპინძელი-მეთქი, შევადამისას  
წამოსვლას დავაპირებდი. მარა ილია ოდნავ დამპი-  
ნავის ღიმილით მეტყვოდა: ნიკო ვაზშმის ეშხით არის  
მოსულიო. ვინ იძის, სამხარეულოში კიდევ იყო და  
დასუნა იქაურობაო...

დავრჩებოდით... მარა იძით, როდემდის? ნავაზ-  
შმევეს ჩვენც ხმას აფეშალლებდით და შეგვექნებოდა  
დაუსრულებელი ბასი და თავზე ბევრჯელ დავკვა-  
თენდებოდა. ეს ორი ადამიანი მაინც პირდაპირ შე-  
ყვარებული იყვენ ერთმანეთზე და ნიკო ილიას აღ-  
მერთებდა კიდევ. სულ ილია და ილია, ავონდებოდა...

1864-წ. 28 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოში ყმები გაათავისუფლეს და ილია ქავჭავაძე მომრიგებელ შვაკაცათ მიიწვიეს. სწორეთ ამ ხანებში იყა, რომ ილია ძალიან ხლო გაეცნო ხალხს, გლეხ-კაცობას, მის ზნე-ჩვეულებას, ენას გამოთქმას, ჭირსა და ლხინს. აი, ამ დროის ნაყოფია იმისი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელშიაც „გლახა კრიაშვილი“ დახატა დიდი სანამდვილეობა.

1868 წ. სასამარალოს რეფორმა მოხდა და ილია ქავჭავაძე დანიშნეს დუშეთში მომრიგებელ მოსამართლეთ. ქალ დუშეთში ყოფნისა და ხშირ ხშირათ სოფლი-სოფლათ სიარულის დროს, ილია ქავჭავაძე კრეფდა ზღაპრებს და ლეგენდებს, გლეხურს ლექსებს, ანდა ზებს და გამოკანებს; დუშეთში სამსახურის დროს დაშთავრა ილიამ „გლახის წამბობი“; აქ ჩაისახა მის გულში გეგმა „ჩრდილისა“, აქ გაიგონა ლეგენდა, რომელიც საფუძვლათ დაედო პოემის „განდევილს“ და „ბაზალეთის ტბას“, აქვე დასწერა მან სატირა: „რა ვაკეთეთ, რას ვშრებოდით“ და გამოთქვა მწვევე „ვაშაკანე“ და „პასუხის პასუხი“.

ამ დროს თვით სში „კრებულ-დროებას“ უძღვებოდა დიდათ ნიჭიერი ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც მხარში უდგენ: აკაკი, გიორგი წერეთელი, სერგე მესხი და პეტრე უმიკაშვილი. ნიკო ნიკოლაძე მოიგონებს არ აძლევდა ილიას, რომელსაც ეწვეოდა ხოლმე დუშეთში და იწვევდა „კრებულში“ სამუშაოთ \*). პეტრე უმიკაშვილიც ხშირათ წერს წერილს ილია ქავჭავაძეს დუშეთში და იწვევს „კრე-

\*) იხ. ბატ. ნიკო ნიკოლაძის წერილი „განთი-ალში“ (№ 8).

ნიკო ხშირათ იტყვდა: ილია პირდაპირ წმიდა კაცია, ყოვლად უზადო, უებრო, უეგრძო. სრულე-ბით არა ვაგს იგი ჩვენებურ მოღვაწეებსო...

მე რო „ქართ. წიგ. გამოცმ. ამხანაგობამ“ მი-მგზავნა ილიასთან მისი ნაწერების გამოცემის შესახებ მოსალაპარაკებლათ, ილიას, რბივარც ბ.ნი გრ. ყიფშიძეს წერს, გონარაჩი არ მოუთხოვია და არ აუღია იმიტო, რომ „სალიტერატურო სასყიდელი მისთვის არ არსებობდა“. პაის იმწამსვე შეიძინა და „ამხანაგობის“ წევრც შეიქნა. ამ გარემოებამ-კი ჩვენი „ამხანაგობის“ საქმე დიდათ წაასწია წინ.

ბულში“ სამუშაოთ. აი, რა დამახასიათებელ წერილს წერს ილია დუშეთიდან პ. უმიკაშვილს

„მოხვოგ ახალის რისამე მოწოდებას. მარა ახალი მე გათავებული, ან უკეთა ვლქვათ, შესრულებული არა მაქვს-რა. გაგვიკვირდება ჩემი ზარმაცობა. მარა დამიჯერე, რა ზარმა-ცობით არ მომდის. მე სწორეთ ვითხრა, ცუდის ზგებულობის კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შედევათი მინდა; რა დეწერო რამე. და მინამ მე „ჩინოვნიკობას“ თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შედევათი ჩემთვის სიხმარია. თუ დავიწყე რამე და არა-ფერმა არ დამიშალა, დაწყებულს მალე შევასრულებ და, თუ დაწყებული შემაწყვეტინა რამემ, გათავდა. მე იმ დაწყებულს ვეღარ მოვებრუნდები. ახლანდელი ჩემი წყეტული მდგომარეობა ისეთია, რა წერისთვის ხანგრძლივი მოსვენება არა მაქვს და, ამის გამო, ასე უხვიროთ და უნაყოფოთ მიდის ჩემი ორი-ოდე დღის ცხოვრება. დიდათ ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისთვის. მარა შეველა არსათ არის. ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს. მარა, რითი ვიცხოვრო? ვაი, თუ უფრო მოკალეობა მომაკლდეს ლუქმა-პურის დევნაში, სამსახურს რა თავი დავანებო!“.

1875 წ. აფილისში დაარსდა სათავად-ახნაურო საადგილ მამულო ბანკი და საზოგადოების თხოვნით მან იკისრა ან ბანკის თავჯდომარეობა და ამ თანამდებობას ეწეოდა იგი მთელი ოცდა ათი წელიწადი, 1905 წლამდე. იმ წამსვე, როცა ბანკის საქმე მოეწყა და გაიჩარხა, ილიამ 1877 წ. მარტის თვეში, დაარსა ყოველ კვირული „აფერია“. ამ ჟურნალის დაარსებით და ხელმძღვანელობით ილია ქავჭავაძემ მთელი ოცდა სამიწლის განმავლობაში თვის მშობელ ქვეყნას დას-ღვა ისეთი დიდი ამაგი, რომლის შესავსი მთელი მე XIX ს. უკუნის მსვლელობაში არ დაუღვია არც ერთს ქართველს. მარტო ეს ერთი დიდი ღვაწლიც რა სათკალავში ჩავეთვალოთ ილიას და სხვა ყველაფერი დავივიწყოთ, მარტო და მხოლოთ ამით არის იგი დიდი და უკვდავი ქართველი...

1906 წ. სრულიათ საქართველოს თავდაზნაურთა დელეგატების ჩვენებით და სურვილით ილია არჩეულ იქნა დიდის ხმის უმეტესობით სახელმწიფო საბჭოს წევრათ. სახელმწიფო საბჭოში ჩვენი მოხუცი ილია მაშინვე მემარცხნეთა ჯგუფში ჩადგა, რომელიც, თურმე, რვა კაცისგან შედგებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ილიას მოკვლის შემდეგ, სახელმწიფო საბჭოს წევრათ ქართველ თავდაზნაურთა წარმომადგენელი აღარ აირჩიეს, კი ხანს... „რუს. ედომ“ ამის შესახებ შემდეგ წერდა: „ამომრჩეველმა თავდაზნაურებმა უარი თქვეს ქართველის არჩევაზე იმიტო, რომ ილია ქვეყნადემ არ გამართლა იმათი მოლოდინი და მემარცხნებთან ერთად ხმა მისცა მან სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ“.

ილიას მე კარგათ ვიცნობდი. ეს იყო დიდი ანალიტიკური ტალანტის, ფხიზელი და ძლიერ დინჯი, სულგრძელი კუკის პატრონი ქართველი, წმინდა კახურ კილოზე მოხიბვლელი მოსაუბრე. იგი იყო ფრიად თვალსაჩინო ორატორი, რომელიც თფილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებებზე უცხო ერების წარმომადგენელ—იურისტებს, მკურნალებს, პედაგოგებს და სხვა ინტელინგეტებსაც იზიდავდა საყურებლათ, რომ მოესმინათ იმისი შესანიშნავი სიტყვები, ზოგჯერ თლად მთიდან მოხეთქილ ნიაღვარსავით მქუხარე და ძლიერი, ზოგჯერ—კი ტკბილათ მოსაუბრე და დამყვავებელი. ილია სახითაც განსხვავებული, სხვა ელ-ფერის კაცი იყო. „პატარა კახის“, ირაკლი I-ისა არ იყვეს, ილიაც შუა ტანადობაზე კოტა დაბალი ტანისა იყო, დიდი ენერჯით აღსავსე სახის, შესანიშნავი ნიჭის გამომატველი შავი თვალები ძალაუნებურათ იზიდავდა საზოგადოებას ამ საოცარი კაცი-სკენ და ერთიანა იმორჩილებდენ მას. კრებებზე ყველა მას მიჩერებოდა, ყველა მას უკვირდებოდა, და ყველასაც იმორჩილებდა იმისი დიდათ მეტყველი ენა და შესანიშნავი ერუდიცია. ამასთანვე, ეს კაცი იყო ფრიად უბრალო, სტუდენტური თამბიცი-

მული, წიგნებით გატაცებული, ბაასების დიდი მოყვარული, ყველასი მოსიყვარულე და თავდაბალი, სტუმართ მოყვარე, დიდი პურმარილის კაცი. საზოგადო საქმეში დიდ მომქირნეობასთან ერთად, სამწუხაროთ, ქართველური ბედოვლათობა ამასაც ქონდა თან დაყოლილი თავის საკუთარ საქმეში... შედარებით კი ჯამაგირი ეძლეოდა, სოფელში შამულიც საკმაო ქონდა, უშვილო კაციც იყო, ასე რომ ჩვენში შეცდომით მდიდარი კაცის სახელიც ქონდა გავარდნილი. მარა ნამდვილად-კი, რომ ბანკის თავმჯდომარეთ არ აერჩიათ, ერთ წელაწადასაც თავს ვერ ირჩენდა... როგორც გამოგონია, ეს თვის კარგს ნაცნობებში კნენა ოღლა თადეონის ასულს კიდევაც ეთქვა, ერთხელ. 1893 წ. ილიამაც თელავში ერთ ნადიმზე საჯაროთ თქვა: „თვითონ მე უნივერსიტეტელი განლაგარ და, ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშვიერი მოგვედებო“...

1879 წელს საქართველოში დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება. მას აქით ამ საზოგადოების თავმჯდომარეთ სულ ილია იყო.

1880 წელს ჩვენში დაარსდა ქართული დრამატიული საზოგადოება, რომლის წესდება შეადგინა კაკასიის პუბლიცისტიკის მებაირახტრემ ნიკო ნიკოლაძემ. დიდი ღვაწლი დასდო ილია ქვეყნადემ ამ საზოგადოებასაც და ქართულ თეატრსაც...

მცირე ამაგი არ დასდო ილია ქვეყნადემ ქართულ სასკოლო კომიტეტს და ქართულ გიმნაზიასაც.

1877 წელს ილია ქვეყნადემ დაიწყო რედაქტორგამომცემლობა „ივერიისა“, რომელიც, რუს-ოსმალთა შორის ატეხილს უკანასკნელ ომიანობის დროს, დაარსა და კვირულ გაზეთად გამოდიოდა პირველათ, მერე 1879 წ. თვიურ ეურნალათ და ვანო მაჩაბლის „დროების“ სამუდამოთ მთავრობის მიერ დახურვის შემდეგ, 1886 წელს, დიურ გაზეთად გადააკეთა და აწარმოვა ილიამ 1901 წლამდე.

„საქართველოს მოამბის“ და „ივე-

რისი“ ბეჭდით ილიამ შეიტანა და განამტკიცა ახალი წყარო სალიტერატურო ენაში—ეს იყო კახური კილო.

ხომლელი.  
(შემდეგი იქნება).

### რედაქციისგან.

დღეიდან ჟურნალი „განთიადი“ თვეში ორჯერ გამოვა, თუმცა „ქალაქლის შიმშილობა“ ისევ არსებობს.

### სადღეისო.

რუსული ორგანო.

ქართველებს რო შორეული და მახლობელი მეზობელი, ოფიციალური და არა ოფიციალური რუსეთი და პროგრესიულათ და არა პროგრესიულათ მოაზროვნე ხალხი ნაკლებათ გვიცნობს, ეს ყველაზე უფრო დღეს გამოჩნდა. დღეს, როდესაც მომენტმა ძალა დაატანა ეუქვათ ჩვენს ქვეყანაზე რამე და თქვეს. მარა ნათქვამი აშკარა დამამტკიცებელი შეიქნა იმისა, რომ იმათ ჩვენს ცხოვრებაზე ოდნავი წარმოდგენაც კი არა აქვთ.

ომის გამოცხადების შემდეგ, ხშირათ ვკითხულობ და თითქმის სისტემატიურათ ფვალყურს ვადევნებ რუსეთის პროგრესიულათ მოაზროვნე ინტელიგენციის ჟურნალ გაზეთებს. მარა არსად არ შევხვედრივარ, რომ ამ ჟურნალ-გაზეთებში ჩვენი ცხოვრების ძირითადი საკითხებს შეხებოდნენ და ჩვენი გაჭირვება, თუ დაღინება სისწორით აღენიშნათ.

ბუნების სიუხვე და გაველურებული გმირობა, აი, რაა უმთავრესად მათი წერილების შინაარსი. ზოგიერთა კორესპონდენტი ისეთი პროგრესიულ გაზეთებისაჲკი, როგორც არის „კიევსკაია მისლი“ და „რუსკია ვედომოსტი“ ხშირათ თავის კაციაშია ნაციონალისტობით მენშიკოვებისაჲკი აქარბებენ.

„კიევსკია მისლის“ კორესპონდენტმა და,

მგონია, თუ არ ვცდები, ჩიგივეცმა ომის გამოცხადების პირველ ხანებში ქართველობას მძიმე ბრალდება წაუყენა, იმის გამო, რომ ვილაც ქუჩის მწერალს პუშკინის შესახებ შეუთხზავს და გამოუცია ანეგდოტები. რა შუაში იყო აქ ქართველობა და თქმა იმისა, რომ რა დაუშვა პუშკინმა საქართველოს, რომ აგრე სასტიკათ ეპყრობა მას საქართველო...

პორნოგრაფიულ—ქუჩის ლიტერატურას მარტო ჩვენში არა აქვს ფეხი მოკიდებული. ის ყველაზე უფრო რუსეთის შუა გუბერნიებშია გავრცელებული და, ექვი რაა, აქ პუშკინი იქნებოდა, თუ სხვა მწერალი, მაიხედაც შეთხზავდენ ასეთანეგდოტებს. ამის გამო, არავის არ უკიყინებია რუსებისთვის, რა დაგიშვათ პუშკინმა, რომ აგრე მტრობთ მასო და რომ ეკიყინებიათ, ეს კიყინი დიდი უსამართლობაჲკი იქნებოდა.

საბრალო კორესპონდენტს, იმდენი წარმოდგენაც-კი არ ქონია საქართველოზე და ქართულ ლიტერატურაზე, რომ ქუჩური წიგნები სერიოზულ წიგნებისგან გაარჩიოს. დიხა! უფიცი არიან ეს ვაჲ-ბატონები ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ცოდნაში და ასეთ სისულელესაჲკი მიტო ჩმახვენ. ჩვენი უბედურება ის არა-ს მხოლოთ, რომ ასეთი სისულელის ჩმახვაზე ემყარება რუსეთის საზოგადობრივი აზრი.

მეორე მაგალითსაჲკი მოვიტან. ეს მაგალითი უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმე ეხება „რუსკია ვედომოსტს“. ეს გაზეთი რუსეთში ერთ საუკეთესო პროგრესიულ გაზეთად ითვლება. იმანაჲკ თავის ფურცლებზე აღვილი მისცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უკოდინარ მწერალს. ამ გაზეთშიჲკ, ამ რამდენიმე თვის წინათ, არ მახსოვს კარგათ, რომელი კორესპონდენტის, ქუთაისიდან ფელეტონათ კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი. კორესპონდენციის ავტორი ეს პროგრესიულ გაზეთების თანამშრომელი, წვრილ ერთა გათავისუფლების მომხრე გაზეთის მწერალი და ყოველგვარ მხაგვრელობის მოწინააღმდეგე ორგანოს მონაწილე, გამოდის და ისეთ აბდა-უბდას ჩმახავს, რომ ვერ გაგირჩევია, სად კითხოლობ მას, „ზნამიის კოლოკო

ლის“, თუ „რუსკია ვედომოსტის“ ფურცლებზე. კორესპონდენტი, სამწუხაროდ, აღნიშნავდა, რომ საქართველოში ქართველებით დასახლებულ მხარეში და იმ ქალაქში, სადაც რუსობა 2 პროცენტით არ არის, დუქნებს წარწერა ქართულ ენაზე აქვსო. კორესპონდენტმა, ალბათ, ერთი ორი დუქნის წარწერას მიაკვია ყურათღება და იმდენათ გაბრაზდა, რომ სამხიარულო და სასიამოვნო ამბავი სამწუხაროთ და ხალხისთვის გასაგები გაუგებარ ენათ მონათლა...

მე ხშირათ შეეხვედრივარ სატახტო ჟურნალ-გაზეთებში ასეთ მსჯელობასაც. ომმა წამოაყენა ნაციონალური საკითხი ებრაელებისა, პელონელებისა, სომხებისა და სხვებისაცო. ალბათ, ასეთი რამის დამწერმა, თუ ქართული ნაციონალური საკითხი არსებობს, ის-კი არ იცის და ან, თუ იცის, კიდევ უარესი: ვისიმე გულის მოსაგებათ და ვისიმე მოსამადლიერებლათ მალავს ამ საკითხს. ასე გვიცნობენ ჩვენ რუსები და, რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთებში ჩვენს ცხოვრებას ისე, როგორც სასურველია არავინ არ ეხებოდეს და ჩვენი გაკვირება ამ ფართო აუდიტორია გაზეთების ფურცლებზე არავისაც არ გაქონდეს.

საზოგადოთ, მოსკოვ-პეტროგრადის ისეთი გავრცელებული გაზეთები, როგორიც არის „დენი“, „რეჩი“, „რუსკოე სლოვო“, „რუსკია ვედომოსტი“ განაპირა ქვეყნების საკითხებს ნაკლებათ ეხებიან. მარა ამ მხრით ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ გაზეთებში, თუ ხშირათ არა, ხანდახან მაინც ისტამბება პოლონეთის, ციმბირის, უკრაინის და სხვა ქვეყნების შესახებ წერილები. ხოლო კერძოთ, საქართველოსა და ქართულ ცხოვრებაზე — კი სდუმან და, თუ ამბობენ, ამ ნათქვამს უთქმელობა ბევრათ ჯობია ქართველებისთვის... ამ მხრით, სომხებს იშვიათი და საშური ბედი ხვდათ. ომი მათი შინაური საკითხებას დემონსტრაციის-მასალათ გახდა. მათ შესახებ ლექციებიც ხშირია, წიგნებიც და წერილებიც. წარმოდგა სომხეთის პოლიტიკური საკითხიც...

გულწრფელათ მოგახსენებთ. ჩვენ არავისი

არაფერი არა გეშურს. სხვას რომ ჩვენზე უკეთესად ქონდეს საქმე, ამის წინააღმდეგი არა ვართ და, თუ ამ ფაქტს აღვნიშნავ, მინდა ამ ფაქტის აღნიშვნით ქართველობისადმი ეს დიდი უყურათღებობა აღვნიშნო მხოლოთ...

ამა, თუ იმ ერის და სახელმწიფოს გაცნობა სხვა ერისთვის და სახელმწიფოსთვის მეტათ რთული საქმეა და, თუ არა ორივემართ დიდი მონდომება, ისე შეუძლებელია ამ საქმის მოგვარება. დღემდღემა ომმა ისიც-კი გამოაშკარავა, რომ ხშირათ მოკავშირე სახელმწიფოებიც კი არ იცნობენ ერთმანეთს. თუმცა ეს იმდენათ დიდი ცოდვა არ არის, რამდენათაც ერთს სახელმწიფოს მფარველობის ქვეშეყოფი ერების ერთმანეთის გაუცნობლობა. მაგალითად, ინგლისში ძლიერ დაინტერესდენ რუსეთით და დაიწყეს რუსეთის შესახებ ლექციების კითხვა. ლექციებში ლექტორები ხშირათ ისეთ საზღაპრო რამებს ამბობდენ, რომ ერთ წამს გეგონებოდა, რუსეთზე-კი არა, ბუშმენებზე-ლაპარაკიო, ხოლო მეორე წამს უდიდეს კულტურის მექიან ერზეო.

დღეს ერთა გაცნობის საჭიროება კიდევ უფრო დიდია, ვიდრე როდისმე იყო. ომმა სხვა დასხვა სახელმწიფოთა, თუ ერთა ბედი ერთმანეთს დაუკავშირა. აქ, ამ ეჟამთ არ შეეხებები წერილ ერთა ერთმანეთის გაცნობის სიკითხს. აღვნიშნავ მხოლოთ, თუ, რა გზით უნდა გავაცნოთ ჩვენი თავი რუსეთის პროგრესიულ საზოგადოებასა და სფეროებს.

ჩვენი ბიდი ისტორიამ რუსეთს დაუკავშირა. დაუკავშირა ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას არ იცნობს და განაგებს ჩვენს ქვეყანას მანქანათ ვადექტეულ მოხელეების წყალობითა და დახმარებით. თუ რამე წარმოდგენა აქვს მას ჩვენს ქვეყანაზე, ეს მიიღო მან ამ მოხელეთა „დანესენიებით“ და ზატერიანების კორესპონდენციებით და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ღირსების უნდა იყოს ეს წარმოდგენა.

ექვი არაა, რომ, სხვათა შორის, ამგვარი „დანესენიების“ და ჩვენს ქვეყანაზე, რომ ამგვარი წარმოდგენა აქვთ, იმის ბრალია ის, რომ

ჩვენს ქვეყანას ბევრი სასარგებლო რეფორმა აცდა. რუსეთის შიდა გუბერნიების ხალხი ერობისთვის მომზადებულათ აღიარეს და ჩვენ-კი მოუმზადებლათ გვიცნეს. მარა, რა მომზადებული უნდა ყოფილიყო რუსის ხალხი მაშინ, როდესაც თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც-კი, ამ თვითმართველობის ინსტიტუტის 50 წლის სასარგებლო მოღვაწეობის შემდეგაც-კი, არა აქვთ ზოგიერთ ადვილას ხალხს შეგნებული ერობის საჭიროება და ამ ნიადაგზე იქ ბევრი გაუგებრობა და საზღაბრო კურიოზები ხდება...

აუცილებლათ, უნდა შევქნათ ერთი ისეთი რუსული სერიოზული ორგანო, რომელსაც ანგარიშს გაუწევს მთავრობის სათანადო წრეები და რომელიც დაინტერესებულ პირს ჩვენს ქვეყანაზე სრულ, ქვემარტს წარმოდგენას მისცემს. ასეთი ორგანო უნდა დაეარსოს პეტროგრადსა, ან მოსკოვში, რადგან მის არსებობას აქ უფრო მეტი მნიშვნელობა და გავლენა ექნება, და იქ მის არსებობას უფრო მეტი სარგებლობის მოტანაც შეეძლება. პოლონელებისთვის ეს გზა უცნობი არ არის. მათ, თუ არა ვცდებო, ორი ორგანოც-კი ქონდათ პეტროგრადში. საკმაო იქნება კვირაული ორგანოს დაარსება და ამას არც დიდი თანხა დაჭირდება. რაც შეეხება თფილისის რუსულ გაზეთებს, მე მისი სარგებლობის არაფერი არა მწამს და მის გამოცემაზე რო შრომა იხარჯება, ის ტყვილათ იკარგება. თფილისურ გაზეთს სატახტო ქალაქებში არაფინაც არ წაიკითხავს, დროც რომ ქონდეს თავისუფალი.

გაჭირვების დროს ხმის ამოუღებლობა, შენი უფლების შელახვის დროს დუმილი, და სამწუხარო მოვლენებზე გულ-ხელ დაკრეფით ცქერა, პირდაპირ ლაზრების და მონების საქმეა. და ჩვენც ამ ლარჩობასა და მონობას თავი უნდა დავანებოთ ერთხელაც იქნება... სირცხვილი, დიდი სირცხვილი არ არის, რომ გაჭირვებაზე ხმის ამოღების გვეშინოდეს, და ამ შიშის გამო, როდესაც ვრის არსებობის ბედი წყდება საუკუნოთ, პირში წყალს ვიკრებდეთ?! იმედია, ამ საგანზე ქართული პრესა თავის აზრს გამოთქვამს გულწრფელათ.

გ. ხანელი.

## ელზას-ლორენი.\*)

I.

ელზას ლორენი მდებარეობს საფრანგეთსა და გერმანიას შუა. იგი წარმოადგენს უხვი, მდიდარი და ლამაზი ბუნებით დაჯილდოებულს მხარეს. 1871 წლამდე ელზას-ლორენი ეკუთვნოდა საფრანგეთს. ხოლო პრუსია-საფრანგეთის ომის შემდეგ, იგი დარჩა გერმანელებს. პრუსია დიდი ხანია ცდილობდა შეერთებია თავის გარშემო მდებარე დანაწილებული გერმანია და გენუართობინა თვისი საზღვრები. ამ დიდი მიზნების უძლიერესი გამომხატველი იყო თავადი-ბისმარკი, რომელიც ჯერ კიდევ 1865 წ. ამბობდა, რომ: „გერმანიას არ აქვს ის საზღვრები, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ყოველ მძლავრ სახელმწიფოს“. ამასთან ერთათ ამბობდა, რომ ამ საზღვრების გადიდება: „უნდა გადაწყდეს არა სიტყვებით და სურვილებით, არამედ სისხლითა და მახვილითო“.

პრუსიის ასეთმა პოლიტიკამ, 1870 წელს, გახვია ომის ცეცხლში საფრანგეთი და გერმანია. ომმა პირველ ხანიდანვე მიიღო დიდათ სასტიკი ხასიათი. გერმანელებმა მთელი თვისი ჯარით გადალახეს საფრანგეთის საზღვრები და შეესივნენ ელზას-ლორენით საფრანგეთს. ამ ომმა დიდი ზარალი მიაყენა საფრანგეთს, რომელიც გათავდა ფრანგების ჯარის სრული განადგურებით ქ. სედანთან. აქ გერმანელებმა ტყვეთ ჩაიგდეს ხელში, თვით ფრანგების იმ პერატორი, ნაპოლეონ მესამე.

მლზასის სატახტო ქალაქის, სტრასბურგის დაცემამ და მეცის დათმობამ გენერალ ბაზენის მიერ, უფრო დაასუსტა საფრანგეთი და გერმანელები მთელი თვისი ძლიერებით შეიჭრნენ შუა საფრანგეთში და მიადგნენ პირდაპირ პარიზის კედლებს...

ამ გარემოებამ ფრანგები ჩააყენა მეტის-მეტათ ცუდ მდგომარეობაში.

\*) ელზას-ლორენის საკითხი ამ ეამათ გერმანიის სოციალისტურ ლიტერატურის დიდ ყურათღებას იპყრობს. კარლ კაუტსკის ვრცელი სტატია-სკონდა დასტამბული ამ საგნის შესახებ ახლახან.

ქურნალ „განთიადის“ მკითხველებსაც ვურდგენთ აქ სტამბის საშუალებით ელზას-ლორენზე მსირეოდენ სწობებს.

რედ.

რომ თავი ეხსნათ მოსალოდნელ უფრო კუდ მდგომარეობიდან, რესპიზბლუკანურმა გამოგეობამ უსარგებლოთ ცნო ომის გაგრძელება და გადაწყვიტა ჩამოეგდო დროებით სავი.

გერმანელებმა ბისმარკის მეთაურობით მიიღო დროებით სავი, შემდეგი პირობებით: პარიზის ფორტები და ყველა სამხედრო სურსათი უნდა გადაეცემოდა გერმანელებს და პარიზის რეგულიარულ-ჯარს, მზავსათ სამხედრო ტყვეებისა, უნდა დაეყარა იარაღი. ასეთი პირობები მიღებულ იქნა და 30 იანვარს 1871 წელს გერმანელებმა პარიზის ფორტებზე ამართეს თვისი დროშები. ამ დროსვე არჩეული ნაციონალური კრება არ დაკმაყოფილდა დროებით სავით და გადაწყვიტა მან აღარ გაეგრძელებია მეტი ომი და დაემყარებია სრული მშვიდლადიანობა. ამ აზრის გასახორციელებლათ ნაციონალურმა კრებამ წინადადება მისცა რესპუბლიკის პრეზიდენტს, ტიერს, რომ მან გაემართა სამშვიდობო მოლაპარაკება გერმანელებთან.

ბისმარკმა მოთხოვა საფრანგეთს **ალზასის** დათმობა, მთელი აღმოსავლეთის ნაწილის **ლოტარინგიისა** და გადახვეწინება **ექვსი მილიარდი ფრანკის** (უდრის 2.225.000 მ.) კონტრიბუციის სახით.

ტიერი თხოვდა დაეტოვებინა საფრანგეთის სიმაგრე და ქალაქი **მეცი**. მარა ბისმარკი იდგა ისევ თავისაზე, მხოლოდ კონტრიბუციას მოაკლო **ერთი მილიარდი ფრანკი** და წარუდგინა ტიერს ასარჩევათ: ან დაეთმო გერმანიისთვის სიმაგრე და ქალაქი **ბელფორი ელზასში** (**ბელფორი** არ იყო კიდევ აღებული გერმანელებისგან), ან და ნება მიეცა შესულიყო გერმანელების ჯარი პარიზში.

ტიერმა ამოირჩია უკანასკნელი და **ბელფორი** დარჩა საფრანგეთს...

ამ რიგათ, მთელი ვრცელი მხარე საფრანგეთის ტერიტორიისა, ელზას-ლორენი, გადაეცა გერმანელებს და 1871 წ. გარდაიქცა გერმანელების მიწა-წყლათ. უმრავლესობა მცხოვრებლებისა არ თანაუგრძნობდა გერმანელებს და ცდილობდა დარჩენილიყო ისევ ფრანგ მოქალაქებათ. მცხოვრებლებზე ასეთმა შეერთებამ იქონია დიდი გავლენა და გამოიწვია საშინელი **პროტესტი** გერმანელების წინააღმდეგ.

გერმანელები 43 წლის განმავლობაში დიდ ძალას და ენერგიას იჩენდნენ, რომ გერმანიფიკაციას მჭიდროდ მოეკიდა ფეხი ელზას-ლორენში. მარა ისინი დღემდე ვერას ვახდენ

და მათდამი მიმართული პროტესტი ძალმომრეობით შეერთების წინააღმდეგ ვერ დაახშევს ვერაფერი გზით... შეერთებისთანვე ელზას-ლორენში გადასახლდა ბევრი გერმანელი და მასთანვე ამ მხრის მთელი ადმინისტრაციაც გადავიდა მათ ხელში. ფრანგული ენის ხმარება სასტიკათ აღიკრძალა. მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ გერმანელები და გულმოდგინეთ შეუდგნენ გახორციელებას თვისი პოლიტიკისა: აკრძალეს ფრანგული ენის ხმარება სკოლებში, საზოგადო დაწესებულებებში, რკინის გზებზე და სხ.

ლუწი, თავისუფლების წილში მყოფი, თავისუფლათ მოახროგნენ, მოაღერსენ და მშობლიურ პანგების ჟღერაზე აღზდილი ფრანგი, დღეს იძულებული გახადეს მოსწყვეტოდა სამშობლოს, დაეერწყებია ყველაფერი ნაციონალური და შეეთვისებია, შეესისხლხორცებია უცხო ხალხის ენა, სწავიჩეულება, კულტურა, ისტორია და ცხოვრება...

ასეთ უსამართლობას ვერ გაუძლო პატრიოტიზმით გამსჭკალულმა ამაყმა ფრანგმა და იძულებული შეიქნა პირველ წელსვე შეერთებისა, რიცხვით 200.000 ოჯახი გადმოსახლებულიყო თავის ტბეღ სამშობლო საფრანგეთში და დარჩენილიყო თავისუფალ ფრანგ მოქალაქეთ.

რათგან გერმანელებს დიდათ სურდათ, მცხოვრებლების თანაგრძნობა მოეპოვებიათ, მათმა მთავრობამ ნება დართო 1874 წელს, ელზას-ლორენებს გაეგზავნათ რეიხსტაგში 15 დეპუტატი. ამორჩეული დეპუტატები გამოცხადდნენ რეიხსტაგში და გამოაცხადეს პროტესტი თვისი ქვეყნის სახელით ძალით შეერთების წინააღმდეგ. და იმ წამსვე დატოვეს საკრებულო დარბაზი. ამ რიგათ, გერმანელებსა და ფრანგებს შორის იყო გამუდმებულათ განხეთქილება და ქიშობა, შუღლი და მტრობა.—

II.

ახლა საჭიროთ მიმაჩნია მოკლეთ ავნიშნო აქ გეოგრაფული მდგომარეობა ელზას-ლორენის არე მარისა. ელზასის ერთ ნაწილს უჭირავს მდინარე რეინის ვაკე ადგილები. მეორე ნაწილს-კი აღმოსავლეთის ნიწილი **ვოგეზის** მთებისა. ელზასი იყოფა ორ ნაწილათ: **ზემო** და **ქვემო** ელზასათ.

ზემო ელზასი არის მთიანი ადგილი. ქვემო---კი ვაკე ადგილია.

უმთავრესი ქალაქი ზემო ელზასში არის

**მიულგაუზენი** (ფრანგულათ **მიულუზი**). მიულგაუზენი, მეტწილად საუკუნის დასასრულში და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, შესანიშნავი იყო, როგორც სამანუფაქტურო ცენტრი მთელი ევროპის ხმელეთისა. მიულგაუზენი, ყველა ქალაქებთან შედარებით, ენერჯიულ წინააღმდეგობას უწევდა გერმანელებს, ბევრი მცხოვრები ათასობით ტოვებდა სამშობლო-ქალაქს და გადადიოდა საფრანგეთის საზღვრებში.

ადმინისტრაციულ პუნქტათ ზემო-ელზასში გერმანელებმა გააშენეს ქალაქი **კოლმარი**, რომელიც ძვეს მიულგაუზენის სამხრეთით. კოლმარის ქვეშა, მდ. რეინზე, ილლის და ბრუშის შესართავთან, მდებარეობს უმთავრესი ქალაქი ელზასისა—**სტრასბურგი**.

სტრასბურგი წარმოადგენს ბუნებრივ ცენტრს ელზასისას, რადგან ამ ადგილზე ვოგეზისა და შავი ტყის (შვარცვალდის) მთები უახლოვდება ერთი მეორეს და ყოფს ბუნებით ტურფა რეინის ვაკეს, ორ სხვა და სხვა ნაწილათ.

რათვან სტრასბურგი ძვეს, თითქმის დასავლეთი ევროპის შვა ადგილზე, არა ერთხელ ჩავარდნილა, ხან ერთ მეომარ სახელმწიფოს ხელში, ხან მეორის ხელში. ორას წელიწადზე მეტს სტრასბურგი ეკუთვნოდა ფრანგებს და ითვლებოდა მძლავრ სიმაგრეთ, რომელიც იცავდა ფრანგებს გერმანელთა ლაშქრების შესევსგან...

1870 წელს მერე, გერმანელებმა აქ გააკეთეს საუკეთესო ტიპის სიმაგრეები და სტრასბურგი შეიქნა პირველ-ხარისხოვან სიმაგრეთ.

თავის თავად ცხადია, როდესაც ქალაქი დებულაბს სამხედრო ხასიათს, ხელს უშლის ქალაქის ვაჭრობა-მრეწველობის გავითარებას.

ამიტომ სტრასბურგმაც დაკარგა თავისი პირველყოფილი სახე საერთაშორისო ვაჭრობაში. ქალაქის შვა ადგილას აღმართულია უზარ-მაზარი საკათედრო ტაძარი, რომლის სიმაღლე აღემატება 70 საჯენს.

ისტორია-კულტურის მხრით სტრასბურგი შესანიშნავია მით, რომ აქ 1436 წელს

იონე გუტტენბერგმა პირველათ სცადა წიგნის ბეჭდვა მოძრავ ლიტერების საშვალეობით. ახლა ერთ-ერთ სტრასბურგის მოედანზე დადგმულია შესანიშნავი ძველი იონე გუტტენბერგის სამახსოვროთ შემდეგის წარწერით: „Tia! Lux! — „, „იქმსეს სისათდე!“

სტრასბურგის განადგურებამდი, გერმანელების მიერ 1870 წელს — იქ იყო შესანიშნავი ბიბლიოთეკა, სადაც ინახებოდა 300.000-დი ტომი წიგნები, რომელშიაც ერია ძველი, იშვიათი და ძვირფასი ხელნაწერებიც...

გენერალმა ვაჟდურმა ქ. სტრასბურგის ალების დროს, დაუშინა ყუმბარები შენობას, სადაც მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა და მუზეუმი, და მტვრათ აქცია იქ ყველაფერი.

ამნაირათ, შეგვიძლია ვთქვათ, რო ძვირფასი ძველების, შენობების, ტაძრების დანგრევა, რმელსაც ჩადიან გერმანელები ახლანდელ საერთა-შორისო ომში. მაგალითად: ლუვენის ბიბლიოთეკის განადგურება, რეიმსის ტაძრას დანგრევა და ბევრი სხვა, ცხადია აქვს თვისი პრეცედენტი.

ლორენის შესანიშნავი ქალაქი არის შეკა, რომელიც, როგორც სტრასბურგი, წარმოადგენს პირველ-ხარისხოვან სიმაგრეს. რაც მეცი არსებობს ქვეყანაზე-2.000 წელზე მეტია. გერმანიასთან შეერთებისას, ქ. მეცში მცხოვრებლებმა თან და თან იკლო, რადგან ნახევარზე მეტი მცხოვრები ქალაქისა შედგებოდა ფრანგებისგან, და გადასახლდა საფრანგეთში. ამ ნაირათ, მთელი ფრანგი მცხოვრები ელზას-ლორენში გამსჭვალულია დიდი პატრიოტული გრძნობით და ინახავს თავის გულში დიდ სიმატას ფრანგებისადმი და ღრმა სიძულვილს გერმანელებისადმი.

დიალი ლტოლვილება, ისევე გახდენ ფრანგ მოქალაქეთ, აღბეჭდილია ელზას-ლორენების გულში, რომელიც დარწმუნებული არიან, რო როდისმე მათი ქვეყანა, ძალით მოწყვეტილი მამულიდან, იქნება „gaud-mémé“ ხელ-ახლა-შეერთებული დიდ რესპუბლიკასთან.



# მენიშენები.

ღვდელმთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

(თხზულებანი ეპ. ლეონიდის, პირველი ტომი, გამოს. 1914 წ.)

წინასიტყვაობის მაგიერი.

რენუვიე—ეს „ღმერთი“ ესტეთიური გძნობისა, ამბობს, რომ ხელოვნური ნაწარმოები მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილ მხატვრობა, როცა მის ობიექტს არ არის არც ქეშმარიტება, არც სარგებლობა; არამედ მხოლოდ გძნობა და სილამაზეო.—კარგია ეს მოძღვრება... მარა უფრო კარგი იქ არის, სადაც ქეშმარიტების ზღვა ამოურწყაეთ, იმაზე (ქეშმარიტებაზე) მეტი სათქმელი არა დარჩენიათ—რა და სარგებლობაც იმდენი მიუღიათ იმისგან, რომ მეტისა ტვირთია არ შეიძლება. თორე, როგორ შეიძლება, კაცს შიოდეს და კამფეტებს იძებნიდეს!... ჩვენშიაც გაჩადა რენუვიეს მოძღვრებით გატაცებული მწერლებ—პოეტები!.. რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია, თითო—ორი ასეთებიც გვყავდეს. ცუდი ის არის, რომ წაბადვის მოხალისე ჩვენს ახალს პოეტებში რენუვიეს აზრი მეფდება და ლურსმნის ჩხვლეტისგან გამოწვეული მწარე გრძნობები-კი იჩილივება... ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს ქეშმარიტება—სარგებლობაზე უნდა ვფიქრობდეთ მომეტებულათ მაინც და არამც და არამც არ უნდა დავაყენოთ ესტეთიური გძნობა პირველ ხარისხზე. ხოლო ქეშმარიტება და სარგებლობა მის მაჩანჩალათ\*).

ამ სახით, მგონია, არ შეცდეს ჩვენი პოეტები, რომ რენუვიეს მოძღვრება ჩვენი აკა-

კის მოძღვრებას ანაცვალონ. აკაკის ლექსებით ესტეთიური გრძნობაც ზედმიწევნითაა ტკბება და ქეშმარიტება—სარგებლობა ხომ არის და არის მათგან, რაც (აკაკის ლექსები) სრულიათ არ გავს იმ ახალმოდის ლექსებს, რომელნიც ესტეთიურ გძნობასთან, თუ ახლო არა, თლად შორსაც არ არიან. მარა მთელი დღე რომ იზებოროთ, შინაარსს ვერც თავს გადასცემთ, ვერც სხვას... ხოლო, რაც უშინაარსოა, რაც გონებას არ ამახსოვრდება, ის ესტეთიურ გძნობასაც საეგებით ვერ დააკმაყოფილებს, თუმცა წუთიერთად გაიტაცებს-კი ლამაზი სიტყვებისგან შეკონილი ლექსები, ვით თვალს ვარდ—ყვავილების თაიგული, რაც წამსვე ქენება და თვალშიაც დიდ ვერაფერ სიამოვნებას მოახთენს... „ესტეთიური გძნობაც ეს არისო“,—იტყვიან. დაე, ასე იყოს. ამ წამს ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ ამ შეხედულობას პოლემიკა გავუწიოთ. ჩვენ გვსურს ვთქვათ, რომ, როცა კაცს შია, ვარდის ხელში მიჩნებით ვერაფერ სამსახურს გაუწევთ, მას უნდა მიცეთ პური, პური არსობისა... ესტეთიური გძნობა კაცს მაშინ აგონდება, როცა სულიერი სახლოთ კმაყოფილია... ვისთვის ზრუნავს მწერლობა? ჩვენა გვგონია, რომ არა თვით მწერლების შესაქცევათ. არა ძალზე სუქანი და ღიბ გამოვადებული ინტელიგენტებისთვის, რომ საქმლის მონელებაში დაეხმაროს, ან სუქან სურნელოვან კერძებზე მადა აღუძრას, არამედ ხალხისთვის, დემოკრატიისთვის. და ხალხის მდგომარეობა-კი ასეთია: ხალხს ჯერ შია, ხალხს ჯერ მამა-პაპული ცრუ მორწმუნეობის ბატონობისგან თავი ვერ გაუთავისუფლებია, ისეთი აზრი და მიმართულება იდგამს მასში ფესვს, რომ სუნთქვა გაკირდება და რომ უთხრათ:—„ესტეთიური გრძნობა დაიტკბეთ ბულბულის სტვენითო“,—ეს იქნება ქვის მიცემა, ნაცვლათ პურისა... ჩვენ არც ისე შევეცდებით, რომ ვთქვათ:—რაკი ჩვენი დემოკრატია ასეთს მდგომარეობაშია, განათლებულ საზოგადოებამ და ნას-

\* პატივცემული ავტორის ზოგიერთ აზრს რედაქცია არ იზიარებს. მარა მას თვისი წერილის საგნის ლიტერატურა ნიჭიერათ აქვს დალაგებული და, ამიტომაც უფრო, სრულ თავისუფლებას ვაძლევთ გამოთქვას თვისი დამაფიქრებელი შეხედულობა.

რედ.

წავლმა ახალთაობამ თვისი გძნობა ხალხს შესწიროსო, რაც, ერთი მხრით, ხალხის შეფერხებაც იქნებოდა! არა, ჩვენა გვწყურია გამოვთქვათ, რომ ასეთი გძნობის ტრფიანნი ალიაქოთს ასტეხენ, თუ ვინმე ხალხს გამოვლამარაკა არა ესტეთიურ ენაზე და აქ-კი არ შეიძლება მათი აზრი შემცთარათ არ ჩაითვალოს. აქ-კი არ შეიძლება არ ითქვას, რომ ასეთ პირებს მარტო თავიანთი თავი ახსოვთ და თავის ადლით ზომავენ დემოკრატის ავლა—დიდებასცო.

არ შეიძლება გულის დიდი ტკივილით ისიც არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რედაქციები ისე არ ეპყრობიან დემოკრატის სულიერ მდგომარეობას, როგორც საჭიროა, როგორც მოეთხოვებათ. ყველამ კარგათ იცის, როცა მიწა სისუქნეს კარგავს, რაც გინდ გაუმჯობესებელი სისტემით მაზე არ ვიმუშაოთ, ნაყოფს ვერ მივიღებთ. იციან, რომ მიწისგან ნაყოფს მიიღებს ის, ვინც მას ასუქებს... ჩვენი რედაქციებს მოაქვს და მოაქვს გაუმჯობესებელი იარაღები (წერილები ათასნაირი, ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ), ამტვრევენ მათ გამოფიტულ ნიადაგზე. მარა, როგორც ვხედავთ, ნაყოფი მათგან არ არის... კაი ხნის უკან ბატ. სიტყვამ „სახალხო გაზეთში“ (მაშინ „სახ. გაზ.“ იყო)—ზნეობრივი შინაარსის ფელეტონი დასტამბა. ეს წაკითხულ იქნა დაბა ძ. — ს ინტელიგენტთა წრეში და იცით?... ყველა ჩააფიქრა!... მარა ის იყო და ის... ასეთი ეტიკომორალური წერილები ხან გამოშვებით მაინც იბეჭდებოდეს, ხალხის სულიერი მდგომარეობის სასუქიც ეს იქნებოდა და, მას შემდეგ, გაუმჯობესებელი სამუშაო იარაღების შემოტანაც ნაყოფს მოიტანდა... რედაქციები იტყვიან:—„ამისთვის მასწავლებელი-მოძღვრები ღვდლები არიანო.“—ღიახ, არიან, მარა რა ყოფნა, რა არ ყოფნა!... აი, რა დანაკლისი უნდა შეუვსოს ხალხს რედაქციებმა, შეძლებისდაგვარათ... რა თქმა უნდა... მარა ისინიც, რომ ხმას არ იღებენ, ხალხი ზნეობისგან სრულიათ იფიჭება, რასაც

ვერავითარი რადიკალური საშვალებით ვერ უწამლებენ, თუ არა ისევ მორალური სასუქით.

ამ წინასიტყვაობით მოვართმევ „განთიადის“ რედაქციას ამ ჩემს წერილს, იმ რწმენით, რომ მას კარში არ გააძვევებს და საჭირო ადგილებზე თავის შენიშვნებსაც გაუკეთებს, საკითხის უფრო გასაშუქებლათ. ამასთან მადლობას შევწირავ ყველას, ვინც ამ წერილისა გამო, კეთილი აზრით, თავის შეხედულებას გამოთქვამს—(„განთიადში“).

I

„ჰქადაგე სიტყვა, ზედააღე ეამითი-უჟამოდ, ამხილე, შერისხენ და ნუგეშინის ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა“.—  
(ბ. ტიმ. 4—2)

მე 18 საუკუნემ ივერიის ეკლესიას აჩუქა ბწყინვალე პიროვნება: ჭყონდიდელი ანტონი —(I—დიდი), რომელსაც ჯერ კიდევ ახალგაზღობაში, როცა მას ცაგარელის საღვდელმთავრო კათედრა ეჭირა, ანტონ ქათალიკოზმა უწოდა: „არონისებრ ძველი ღვდელი“.

ისტორია უგზავნის ხოლმე ქვეყანას კაცს, თუმცა-კი იშვიათად, მარა კაცს ისეთს, რომლის ცხოვრება, მოღვაწეობა, საქმენი კეთილნი თვით საუკუნოებმაც ვერ წაშალონ... ხანდახან, მცნება დიდი მორალისა—სჯული მალალი სქელი ბურუსით მიიჩლიდება: დაფარვენ მას ცხოვრების ტალღები, დააბნელებენ მას არსებობისთვის ბძოლით ატეხილ ქარიშხალთაგან აყრილი ღრუბლები, რაც იწვევს ხალხის სულის დასუსტებას, დაჩაივებას, დაქლევებას... მაშინ არის საჭირო მკურნალი, რომ აიღოს ხელში სწორუბოვარი კარაბადინი—სახარება და ხალხი გაკურნოს, გამოავიძოოს, გამოათხიზლოს და ქეშმარიტ გზაზე დააყენოს...

კაცი ბუნებით უძლოურია, საცოდავია. ხშირათ კარგავს მოკენტილ სწორ გზას და მიეჩქარება ვიწრო ბილიკით ტყეში, წუმპეში, კოლო—ბუზების ქაობებში... ეს ხთება

უფრო მაშინ, როცა ის წუთიერი ცხოვრებით თვრება, სნეულდება... ეს საკვირველიც არ არის; ვინაიდან თვით უკუღმართი ცხოვრება ქმნის ასეთს პირობებს...

არც ისაა საკვირველი, რო გზას გადამცთარმა სნეულმა განკურნება არ ინებოს—სამკურნალოში არ შევიდეს, ვინაიდან სნეულია და სნეული-კი ხშირათ უფროხის მკურნალს და წამალს... ან არ სცალია ამისთვის და, ან კიდევ ნდობა და რწმენა დაკარგვია მკურნალისა და წამალისადმი.

ზნე დაცემულიც ხომ უფროხის სამკურნალოს—მოდღვრებას... მარა შედის ხანდახან ასეთს სამკურნალოში ისეთი მკურნალი—მოდღვარი, რომელიც ხალხს იზიდავს, განკურნების წყურვილს აღძრავს... აქიდან, ცხადია, რო ხალხი ტაძარს არ გაექცევა, თუ იქ ჰეშმარიტი, სახალხო, დემოკრატი მოძღვარი ნახა, ნამდვილი მოძღვარი და არა მგელი, ცხერის სახით—დაქირავებული... ეს ასეც უნდა იყოს: ხალხს არ შეუძლია სჯული უარყოს... „შენ შეგიძლია ნახო სამეფო,—ამბობს პლუტარხი, —სადაც ერთი კედელიც არ არის ამართული, სადაც კანონი არ არსებობს, არ არის ფული, მწერლობა. მარა ჯერ არავის უნახავს ხალხი, რომელსაც არ წამდეს ღმერთი, არ იცოდეს ლოცვა. სხეებლს შეწირვა და სარწმუნოებრივი ვარჯიშობაო.“—ამ სახით, ცთება კერძო პირი. მარა ხალხი არა დროს. ამიტომაც არის ნათქვამი: „ხმა ღვთისა, ხმა ერისაო.“ ერის გულში დაისადგურებს მწყემსი კეთილი და ა-კი დაისადგურა კიდევ ჰყონიდიდელმა ანტონმა... ის მეფის ჩამომავლობა იყო და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა ფუფუნებით არ აღზდილიყო. მას, როგორც სამეფო ტახტთან დაახლოვებულს, განა შეიძლებოდა წუთიერი ცხოვრების მომხიბლავი ტკბილით სავსე ფილაა წინ არ დგომოდა?!... მარა ყველა ეს უარყო მან: —,ძმაო, გეტყობა, რო ბერობას ღირსეულათ ვერ ატარებ და ცოდვაში ჩააგდებ შენს ნათესავთა, — ეუბნება ის თავის ძმას-ჰყონდიდელს ნიკოლოზს, — შენ საერო

საქმისადმი დაგიძს გული და არ შეგიძლია ტვირთვა მონოზნობის მძიმე უღლისა: —, არა ძალგიძს მონებათ ორთა უჯალთა“—გვევდრები, დააგდე ბერობა და შენს მაგიერ მე ვიტვირთებ ამ საქმესო.“—1)

რა თქმა უნდა, შეეპარება კაცს ეკვივაი, თუ ზედმეტი დიდკაცობისთვის უნდოდა, ისედაც დიდკაცს, ანტონს ჰყონდიდლაბაო! მარა არა: ის მიდიოდა მსახურებად და არა, რათა ემსახურა... აი, რას ვკითხულობთ მისი ცხოვრების შესახებ ბ. თ. ჟორდანიას იმავე წინასიტყვაობაში (გვ. VIII): „მის მარხვათაგან განღეულ პირისახეზე აღბეჭდილი იყო ანგელოზებრი სათნოება... ყოველგვარი ხორციელი ფუფუნება უარყო, მარხვასა და მოთმინებას მისცა თავი, უპერანგამხანაგო შიშველ ტანზე იცვამდა უსარჩულო მქისე ჩოხას და შეუზღოვებისთვის ღია შარავალს, რო ხორცისთვის ხელი არ ეხლოო“.

ანტონ ჰყონდიდელი იყო გახორციელება ქრისტეს მცნებისა, სხვანაირათ რომა ვთქვათ, ქრისტეს მცნება იყო ცხოვრება მისი... ის ავიდა საქყონდიდლო კათედრაზე, ვით ბძანებს ქრისტე, არა, რათა მონებ-მოსამსახურები ბლომათ გაეჩინა და დიდების მორევში მოქცეულიყო, არამედ სული თვისი დაედვა ცხოვართათვის... მიტომაც იყო, რომ ის გადამეტებული ძალით შეებძოლა მის დროში გამეფებულ ერთ თვალსაჩინო უკუღმართობათაგანს—ტყვეთა ვაყიდვას.—2)

1)—ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი. წინა სიტყვაობა ბ. ჟორდანიასი. გვ. IV.

2)დასახასიათებლათ ამ გულის ამრევი სურათისა... აი, რას გაღმოგვეცემს ერთი სარწმუნო მოხუცი: —, ეველი (ეკი—სოფელია) ადამიამ (სახელი არ მაგონდება, თუმცა მოხუცმა თქვა) ცხრა ქალიშვილი დაიჭირა და ყულევეში ჩაიყვანა, სადაც ის მყიდველ თათარს ოსმაელსო, მელოდა. თათარი არ დახვედროდა და ამბავი-კი, რო დანიშნულ დროიდან, მესამე დღეზე მოვიდოდა. ამის გამგონე ადამიას მოენახა ტყეში უშველგებელი ხი, გულ-გამოხრულ-გამოჭმული. შეეძვრინა ამ ხეში ტყვეები და კარი ისე გავმაგრებია, რო ქალიშვილებს არავითა-

მე XVIII საუკუნეში სამეგრელოს ზოგიერთ მაღალი გვარის კაცებმა ტყვის გაყიდვა შემოიღესო, — ვკითხულობთ იმავე წინასიტყვაობაში (გვ. IX), — ყიდდენ უფრო თათრებზე ფათში, ყულევში და სოხუმში, რომლის წინააღმდეგ ანტონი აღიჭურვა, არა თუ სიტყვით, არამედ საქმითაც. ტყვის გამყიდველთ შეაჩვენებდა, მის სახლში ღვლელს არ შეუშვებდა, მის სოფელში ეკლესიას კეტავდა. ასე მოექცა ფალავებს და ჩიჩუებს. 1792 და 1794წ. 2 აგვისტოს ანტონის თავჯდომარეობით იქნა საღვდელი კრება, რომელმაც დაადგინა: ტყვის გამყიდველ თავადების სოფლებში ყველა ეკლესიები დაიხუროს, ყველა ღვდელმოქმედება იმათ ოჯახებში დაეყენოს, გარდა ნათლისღებისა. რასაკვირველია, ასეთი სასტიკი ზომა ყრველთვის მიზანს მიახწევდა, დამნაშავენი შენდობას თხოულობდენ, საკანონოს იხთიდენ და გაყიდულ ტყვეს გამოიხსნიდენ. ამგვარი საბუთები მრავალი მოიპოვება აქამდე მოწეულ სიგელ-გუჯრებშიო“.

მარტო ეს ერთი გარემოება რომ ავიღოთ, ისიც ქვერმეტყველობით გვეუბნება, რომ ანტონი ყოფილა დაუფასებელი გამგე (ადმინისტრატორი)... მარა, თუ ასე ეტყოდა გარეშე თავადებს, არც დამნაშავე თავისიანებს ეპყრობოდა იგი შიდავათიანად. — ამის შესახებაც ვკითხულობთ იმავე წინა სიტყვაობაში: — „ანტონი ქყონდილათ იყო 1788 წლამდის. ამ წლის დასასრულს (6 დეკემბერს) მოკვდა მისი ძმა — დადიანი კაცია და გადადიანეს მისი შვილი, ათის წლის ყრმა — გრიგოლი. სამეგრელოს მართვა მძლავრ პირებს ჩაუვარდა ხელში და მრავალი უწყესობა ხთებოდა. არ ვიცი, ეს იყო მიზეზი, თუ ანტონს იზიდავდა მონასტრული ცხო-

ვრება და სრულიათ მოშორება ქვეყნის ვარაზისა და ამოზიგან. მან 1789 წელს დაუტევა ქყონდილობა და უპრალო ბერათ შედგა მისგანვე გაშენებულ ნახარებოუს მონასტერში. ქყონდილათ დაადგინა მისი ძმისწული, ახალგაზდა (26 წლის) ბესარიონი, უკანონო შვილი კაცია დადიანისა (ქორწინებამდის). ამბობენ, რომ ანტონს დიდათ უყვარდა ეს ბესარიონი, როგორც ღირსეული კაცი და ამისთვის დაუთმოო მას თვისი კათედრა. მარა მათი ერთობა მალე დაირღვა, რადაც მიზეზებისა გამო. მათ შორის ჩამოვარდა განხეთქილება და შფოთი. (ზოგნი, მიზეზათ განხეთქილებისა, ასახელებენ ბესარიონის მცონარეობას: ახალგაზდა ქყონდილი მეტათ გასუქდა, დამძიმდა, იშვიათად სწირავდა და საეკლესიო საქმეებს ფიცხლათ არ ეკიდებოდა. ეს იყოო კაცი დიდების მოყვარე და ფუფუნებით მცხოვრები) ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ ანტონმა 1792 წლის დასასრულს მოახთინა კრება, რომელსაც უნდა გაერჩია მისი და ბესარიონის საქმე. კრებას დასწრებიან ეპისკოპოზნი: ქუთათელი დოსითეოსი, ხონელი ანტონ, სინოწმიდელი იოანე, ცაიშელი გრიგოლი და შემოქმედელი იოსები. კრების განჩინებით, ბესარიონი გადააყენეს და ქყონდილობა მისცეს მის ახალგაზდა ძმას, ცავარელს იოანეს...“ (გვ. X)

ასეთი ზეგარდმო ძალით კურთხეულ გამგეობის ტალანტის ისტორია ანიჭებს მხოლოდ რჩეულს, მხოლოდ იმას, რომელიც თავის თავს უარყოფს მოძმეთა სიყვარულისთვის... რა იქნებოდა ქვეყანა, რო გაგძლდეს, საზოგადოთ, ასეთი პირების მართველობა? — მთელი სამოთხე... მარა ასე როდი ხთება! მზე რომ ამოაშუქებს, უნდა ვიცოდეთ, რო გვივლის დრო და ის ჩავსვენება, ბწყინვალე დღეც თავის ადგილს დაუთმობს მთვარიან ღამეს, იქნება კუპრივით შავსაც, რასაც თან მოაქვს ავდრები, რაც აბრკოლებს მუშა ხელს, ხელს უწყობს მავნე ბალახების გამრავლებას ყანაში და სხ... დიახ! ანტონის ხანა ბწყინვალე ხანათ უნდა ჩაითვლოს. მარა არა იმიტო მარტო, რო საუცხოვო გამგე იყო, არამედ იმიტომაც, რომ იყო საუცხოვო მქადაგებელიც. ანტონის მიერ შე-

რი საშვალეა არ დარჩენილათ თავის გასათავისუფლებლათ. მესამე დღეს ადამიან თათარი მიყენა ამ ხეს. მარა ქალიშვილები დახოცილ-დასივებულები დახვდით. მაშინ თათარმა უთხრა, თურმე, ადამიან: — „ქრისტიანები ჩვენ გვეძახით თათრებს და „თათრები“ თქვენ თვითონა ხართო.“

ქმნილ-დატოვებული ქადაგებათა კრებულში ძვირფასი-რამ არის ახლაც; გაივლის დრო, საუკუნეც და არ დაიკლებს მისი ფასი... ანტონის ქადაგებიდან, ვით სარკეში სანთელი, ნათლად მოჩანს მქადაგებლის უღრმესი და უმაღლესი სარწმუნოება, საღვთის მეტყველო ფილოსოფიის ზედ მიწვევით ცოდნა, ისარივით სწორი მიმართულება, ქვერმეტყველობა და უმწვერვალეს ხარისხამდის ასული ბეჯითობა... იქ ახსნილია ისეთი საკითხებიც, რომელნიც სოფლის ღვდელთათვის თავსამტრევევ ამოცანას წარმოადგენს. ჩვენმა საღვდელთებამ ის რო კარგათ იცოდეს, საღვთისმეტყველო ცოდნაში წაიმატებს და, მგონი, არც იმის თქმით შეეცდეთ, რომ ანტონის ქადაგებებიდან შეიძლება შედგეს კატეხიზმოსებური კითხვა-მიგვების ფრიად ჩინებული ხელსამძღვანელო, რაც, გარდა იმისა, რომ ოჯახში საკითხავათ სასარგებლო იქნება, მნიშვნელობას მოკლებული არ იქნება, რო მისი საფუძვლიანათ ცოდნა მოეთხოვოს საღვდლოთ გამჟღადებულ დაბალ ნასწავლ პირებს მაინც.

ამ სახით, ივერიის ეკლესიის ბწყინვალე ვარსკვლავთაგანს—ანტონს პავლე მოციქულთან ეთქმის: „დამიხსნა მე უფალმან ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა და მაცხოვრის მე სასუფეველსა მისსა ზეცათასა“ (ბ. ტიმ. 4—18)

კირილე წუთისოფლელი.  
(შემდეგი იქნება.)

**შვილის საუბარი მამასთან. \*)**

(გუძღენი ჰიათურის მემამულეებს).

**შვილი:** — კი, ვიცი, მამა, აკაკი; ამ შვიდიოდე წლის წინათ ახალი მიღებული ვიყავი სასწავლებელში, როდესაც ამ დიდებული მგოსნის „იუბილეს“ დღესასწაულობდენ ქუთაისში. აკაკი მაშინ პირველათ ვიხილე ქუთაისში, როდესაც მოწაფეები ყვაილების კონებით და თავიგულებით გარს შემოვერტყით ფერხულით და სიმღერით, ხელში აყავდა სიხარულით აღტაცებულ ხალხს, მოზდილი მოწაფეები-კი ცხენების მაგიერათ ეტლში შეებენ, პატრისკემის ნიშნათ და

ისე დაყავდათ ჩვენი სათაყვანებელი მგოსანი. ის სანატრელი დრო ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება... სანამ დიდებულ აკაკის პირადათ გავიცნობდით, ერთხელ მასწავლებელმა კლასში აკაკის დიდი პორთოვითი შემოიტანა და აგვიხსნა, რომ ეს დიდებული ჩვენი მგოსანი მოქალაქე არისო, რომელმაც მთელი თვისი სიცოცხლე და ძალღონე ჩვენ სამშობლო საქართველოს შესწირა და ამ მოხუცებულებასაც-კი დაულალავათ თვისი ტკბილი, მომზიბლავი ლექსებით თავს დამღერის თვის ძვირფას საყვარელ ქართველთ სამშობლოს. აი, ამ დიადი ადამიანით ჩვენ თავი მოგვაქვს და ვამყობთო. იმ დროიდან აკაკის მოღიმარე ტკბილი და მზიური სახე ჩვენს გულში ღრმათ ჩაიბეჭდა და მისი ლექსები კიდევ უფრო შეგვიყვარდა და დაბეჯითებით ზგერი შეპირათაც ვიციით..

**მამა:** — შენ ჩემზე უკეთ გცოდნია, შვილო, აკაკი და მეტი რაღა გითხრა?

**შვილი:** — თუ კი ქვეყანა გამდიდრდა ჩვენი ჰიათურის შავი ქვის მადნებით, აბა, თვით დიდებული აკაკიც ძალიან მდიდარი იქნებოდა, რადგან ის თვით აღმოჩენია შავი ქვის მადნებისა!

**მამა:** — არა, შვილო, აკაკის თვისი საკუთარი შავი ქვის ადგილებიც ბევრი ქონდა, ჩვენი ჰიათურის რაიონში: ზედა—რგანში და თაბაგრებში. მარა აკაკი შავი ქვის მრეწველობას და ვაჭრობას არ მისდევდა, არც ეცალა მას თვისი შავქვიანი მამულებისთვის... ამიტომ მისი სიმდიდრე სხვებმა შექამეს, თვით-კი სიმშლილ ბევრჯელ გამოუცდია. — აკაკის „ზენაკაცს“ ეძახდენ. იმას ამ მიწიერი ქვეყნისთვის არ ეცალა, მას თვისი დიადი ტალანტით ზეცაში ქონდა საქმე, მოუსვენრათ ფუტკარივით დაფრენდა ყველგან და თვისი მადლიანი ენით და ნიჭიერი კალმით დაულალავათ შრომობდა ყველგან, სადაც კი მიწვდებოდა და ქამა—მისთვის, ქონებისთვის და პირადი სიამოვნებისთვის საზრუნავათ მას არ ეცალა. მისთვის არ იყო ვასაზღვრული, არც ადგილი, არც შრომა, არც დრო და ჟამი... ის არ იყო უბრალო

\*) იხ. „განთიადი“, № 13.

მიწიერი... განა არ იცი მისი ლექსი „ხარაბუხა და ფუტკარი“? რომელია? სხვათაშორის, ასე ამბობს დიდებული მგოსანი: „მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა მუშა და სხვაგვარადაა მოღვაწეო“... აბა, ამის მოქმედ აკაკის, სად ეცალა, შვილო, შავი ქვის საწარმოებლათ და თავის გასამდიდრებლათ?!“

**შვილი:** — ქიათურიდან სად მოაქვთ, მამა, ჩვენი სიმდიდრე—შავი ქვა?...

**მამა:** — მცირედენი ნაწილი რუსეთს გადააქვთ და უმეტესი-კი საზღვარ-გარეთ—ევროპის სახელმწიფოებში. საზღვარ—გარეთ ამ მადნების გადასადნობი ქარხნები არის და ჩვენ სახელმწიფოს-კი ასეთი ქარხნები, სადაც დიდი უშველველი ქურბებია გამართული, არა აქვს

**შვილი:** — რატო რუსეთს არა აქვს ასეთი ქარხნები და უცხოელებს-კი?

**მამა:** — იმიტო, შვილო, რომ საზღვარ-გარეთლები ფრიად განსწავლული, განათლებული და შრომის დიდი მოყვარე ხალხია. მათი კულტურა და ტექნიკა ბევრათ მაღლა დგას. ამიტომაც არის, შვილო, რომ ომიანობამ დასცა და ჯერჯერობით დაკეტა ჩვენი შავი ქვის მრეწველობა და დიდ გაქირვებას განვიცდით, რადგანც თვით იმ სახელმწიფოებს აქვთ ჩვენთან ომი დღეს, სადაც ჩვენი შავი ქვის მადნს გასაფალი და ბაზარი ქონდა მოპოვებული

**შვილი:** — რაკი საზღვარ—გარეთლები ჩვენზე მაღლა მდგარან სწავლა—განათლებით, ჩვენებმა საზღვარ-გარეთ მაინც უნდა მიიღონ სწავლა—განათლება?!...

**მამა:** — კიდევ ასეა, შვილო. ჩვენი ახალგაზდები მიიღებდენ თუ არა დღემდე საშველო განათლების სიმწიფის „ატესტატს“, საშველო შეძლების ახალგაზდები რუსეთის უნივერსიტეტებს ეტანებიან და შეძლებული ყმაწვილები საზღვარ-გარეთ მიდიან განათლების მისაღებათ...

**შვილი:** — ნეტავი ვიცოდეთ, მამა, თუ რას აკეთებენ საზღვარ—გარეთლები ჩვენი ქიათურის შავი ქვის მადნებიდან?

**მამა:** — ნამდვილათ არც მე ვიცი, შვილო, თუ რას აკეთებენ.

გამიგონია ხშირათ, რომ ამ მადნიდან აკეთებენ ვეცხლს უმცირეს ნაწილს, უმეტეს ნაწილათ-კი ფოლადს, რკინას და საღებავს.

**შვილი:** — რა კარგი იქნებოდა, რომ ამ მადნის გადასადნობი ქარხნები ჩვენშიაც ყოფილიყო. მაშინ ხო ჩვენ უფრო მდიდრები ვიქნებოდით და ჩვენ ბედს ძალიც არ დაყუფდა?

**მამა:** — კარგი იქნებოდა, შვილო, რათქმა უნდა. მარა აკი გითხარი, ჩვენ უსწავლელი ხალხი ვართ. ჩვენში ასეთ ქარხნებს, აბა, ვინ მოაწყობს, ან ვინ აწარმოებს. ჩვენი უსწავლელობით ისარგებლეს საზღვარ-გარეთელმა ჩარჩებმა და, მიტომაც, მთელი ჩვენი სიმდიდრე მათ ჩაუვარდათ ხელში მუქთად და ჩვენ-კი ისევ ღარიბ-ღატაკები ვართ, როგორც ვიყავით...

**შვილი:** — ეს რატომ არის, მამა, რომ ჩვენი შავი ქვის მადნის ადგილები საზღვარ-გარეთელ ჩარჩებს ღარის ფასათ ჩაუვდიათ ხელში და ჩვენი ქონებით და მიწა-წყლით ისინი გამდიდრებულან და ჩვენი შიმშილით სული გვხდება?!...

**მამა:** — ხო გაგიგონია, შვილო: „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე.“ ნასწავლმა და განათლებულმა საზღვარ-გარეთლებმა ჩვენი სიბნელით და უსწავლელობით ისარგებლეს. ჩვენ, როგორც ბომა, თავლ-აუხელები ჩაუფარდით იმათ ხელში, ასი თუმნის ადგილზე, თითო თუმანი მოგვცეს, და პირდაპირ გაგვგვიღიჯეს, მთელი ქონება წაგვართვეს. თვით ისედაც გამდიდრებულნი კიდევ ზედმეტათ გამდიდრდენ და ჩვენ-კი მშვიერ-მწყურვალი რიყეზე დავრჩით. —

**შვილი:** — ეს რატო მოხდა, მამა, რომ ქიათურის მიდამოებში და მახლობელ სოფლებშიაც, განსაკუთრებით-კი ზედარგანში და ღვიმეში, სახანავ—სათესი ადგილები დაიქცა, წყაროები დაშრა, ვენახებო, სათიბები და ბაღები სულ დახმა, ეკლესიები, საბინაო სახლები, სამოსახლოები, ქურ-მარნები დაიქცა და აოხრდა და მკხოვრებლები-კი საშიშ მდგომარეობას განიცდიან და კაბალში (კახეთს) და სხვა შორეულ ადგილებში გარბიან სამოსახლოთ და სამუდამო საცხოვრებლათ. ჭირისუფლები თა-

ვის მიცვალბულებს საფლავებში ვე-  
ლარ ნახულობენ და აღარაფერი სარ-  
ჩო და საზრდო მაგათთვის აღარ არის  
და მხოლოდ დღიური მუშაობით საზ-  
როლობენ?

**მამა:** — ასეთი უბედურობა და გაჭირება  
იმიტომ ეწვია, შვილო, ჩვენი ქიათუ-  
რის სამრეწველო რაიონის სოფლებს,  
რომ ეს სოფლები შავი ქვის მადნიან  
ადგილებზეა თლად გაშენებული. აქად-  
გილების შიგნი გულიდან გამოიღეს და  
გამოიმუშავეს მთელი შავი ქვის ადგი-  
ლების მადნები. იმიტომ დედამიწის ზე-  
და პირს შიგნით გული და ნიადაგი გა-  
ოცალა, გამოკალიერჯა ადგილები  
ზემო დასახლებული საზღვარ-გარეთ-  
ლების წყალობით და, იმიტომაც, მოხ-  
და ყოველიფერი ის სამწუხარო ამბა-  
ვი, რაც შენ ზევით ჩამოთვალე. სამწუ-  
ხარო და სატირალი ის არის, შვილო,  
რომ შეუბრალეებლმა ჩარჩებმა სიმდიდ-  
რეც ხელიდან გამოგვაცალეს. ესეც არ  
გვაკმარეს. სახლ-კარი და ადგილ-მამუ-  
ლიც დაგვიქცა და ავგაოხრეს, ყო-  
ველი ფერზე ხელი აგვადებოდა, მიცვა-  
ლებულის ნაშთებიც კი მაღაროებში სა-  
ძებნელათ შეგვექნა და სად ყრია მათი  
ძელები, ღმერთმა იცის. და ცოცხლე-  
ბი-კი ცხოვრების ვარეშე ვარეშული  
გზა — შარაზე დატოვეს მშვიტ-მწყურ-  
ვალი და დღიური პურის მაძიებელი ისევე  
იმ ჩვენ ამოახრებელ მტრებს მუხლზე  
ვკოცნით, რომ დღიური საზრდოსთვის  
ჩვენ დაკარგულ მადნებში გვამუშავონ  
და კიდევ გვამადლოვებენ უმადურები..  
სწორეთ ჩვენზე ითქმის: „ღურია კიდევ  
გაიქცა და კიდევ გაიფცქენაო“, ან კი-  
დევ ქართული ანდაზა: „გარეულმა ქა-  
თამმა შინაური ქათამი ვაადლოვო.

**შვილი:** — მამა ჩემო! თქვენა ბძანებთ: მთელი  
ჩვენი დიდი სიმდიდრე ჩალის ფასათ  
ჩაიგდეს ხელში საზღვარ-გარეთელმა ვაჭ-  
რებმა და ჩვენ-კი ავგაოხრეს და ხანა  
დადებული დაგვტოვესო. ამაში ახლა  
მეც სრული დარწმუნებული ვარ... მა-  
რა უწინ, რომ ჩვენი ქიათურა ერთი მი-  
ყრუებული პატარა სოფელი ყოფილა,  
დღეს აქ, ვინ გახსნა სასწავლებლები,  
შენიერი საავთომყოფო, აბანოები,  
ელექტრონული განათება, ტელეფო-

ნები, თეატრები, წიგნთ-საცავ-სამკით-  
ხველობები, წყალ-სადენი, არხები, ელექ-  
ტრონული სადგური, ვინ გააკეთა გზე-  
ბი, სანათურები და სხვა ასეთი კულ-  
ტურული სიკეთე?

**მამა:** — მომისმინე, შვილო! იქნება შენ წარ-  
მოგიდგენია, რო ყველა ეს სიკეთე ჩვენ  
დაბა ქიათურას საზღვარ-გარეთელმა  
ვაჭრებმა შეძინეს და მითი გამოიყიდი-  
ან თავის დანაშაულს ჩვენთან? სრუ-  
ლიათაც არა, შვილო. ეს სიკეთე მოუ-  
ტანა ქიათურას ისევე ჩვენგან-მემამუ-  
ლეების და მრეწველებისგან დადგე-  
ნილმა საზოგადო დაწესებულებამ, ან  
უკეთ რომა ვთქვათ, ჩვენგანვე დადგე-  
ნილმა კრების საბჭომ.

**შვილი:** — რანაირათ დაარსდა ეს საბჭო და,  
რა დროიდან არსებობს იგი?

**მამა:** — ამ ოცი წლის წინათ გამოჩნდა ერთი  
საუკეთესო ჯგუფი ქართველი ინტელი-  
გენტებისა, რომელმაც, მთავრობის თა-  
ნახმათ, დაარსა ქიათურის საკეთილდღე-  
ოთ ეს საზოგადო ცენტრალური დაწე-  
სებულება, რომელსაც „შავი ქვის  
მრეწველთა კრების საბჭო“ ქვია. ასეთ  
სახელს ეს დაწესებულება იმიტომ ატა-  
რებს, რომ მრეწველების კრებამ აირჩია  
საიმედო ვანათლებული პირები, დაუ-  
ყენა სათავეში ამ დაწესებულებას და,  
რაც საბჭოს ფული შემოდის, თლად  
ენმარება საზოგადო საქმეებს, ე. ი.,  
სწავლა-განათლებას და სხვა ასეთ კულ-  
ტურულ დაწესებულებას და ყოველ-  
გვარ გაუმჯობესობას ქიათურაში და  
მის გარშემო სამრეწველო სოფლებ-  
შიაც.

**შვილი:** რა-კი ამ სიმპატიურ საზოგადო და-  
წესებულებას „ქიათურის მრეწველთა  
კრების საბჭო“ ქვია და ქიათურის ინ-  
ტერისებს იცავს, რატო ჩვენ ქიათურა-  
ში არ არსებობს ეს საბჭო და ქუთაის-  
ში აქვთ გამართული?

**მამა:** — მართალია, საბჭო ქუთაისში აქვთ  
მრეწველთს. მარა თვით საბჭოს თვისი  
უმთავრესი კანტორები და გამგეობა  
არსებითად ქიათურაში აქვს, კიდევ  
ქიათურას ეკუთვნის და დრო გამოშ-  
ვებით ქიათურის ადგილობრივი საჭირო-  
ებისთვის სხლომებიც ქიათურაში აქვს  
ხლომე საბჭოს გამართული. რაც შეე-

ხება იმას, რო მუდმივი კანცელარია და ბუხვალტერია საბჭოს ქ. ქუთაისში აქვს გადატანილი, ეს იმიტომ მხოლოდ, რომ ქუთაისი ცენტრია, დედა ქალაქია საქართველოს დასავლეთისა—საგუბერნიო ქალაქია და ამ კერძო საზოგადო დაწესებულებას ხშირათ, თითქმის ყოველ დღე საქმე აქვს მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებასთან ჭ მათ წარმომადგენლებთან, ისევ ქიათურის მრეწველობის ინტერესების დასაცავათ, რისთვისაც უხერხული შეიქნა საბჭოს მუდმივი ყოფნა თვით ქიათურაში. საქვეყნო სამრეწველო ვითარების თვალსაზრისითაც, იქ უნდა იყოს საბჭო..

მარა ამაზე ლაპარაკი ახლა ძალიან შორს წაგვიყვანდა და შენც არა ხარ ჯერ მომზადებული ასეთი მსჯელობისთვის. ამნაირათ, შეილო, საბჭოს რომ კანცელარია და ბუხვალტერია ქუთაისში აქვს და თვით საბჭოს შემადგენელი თავმჯდომარე და წევრები ქუთაისში ცხოვრობენ, ამითი არაფერი არ შედეგა. პირიქით, სასარაებლოც არის და ფრიად საჭიროც მათი იქ ყოფნა. მხოლოდ თვით მორიგისი მრეწველთა კრება, რომ ქიათურაში მოხდეს ხოლმე ადგილობ და არა ქუთაისში. ეს-კი უფრო კანონიერი და სამართლიანი იქნება\*) ქიათურაში უფრო სასურველი და სასარგებლოა მორიგისი კრებების მოხდენა იმიტომ, რომ, სხვა და სხვა მრავალი მიზეზების და საოჯახო გარემოების გამო, ქიათურის მრეწველები თავის კრებაზე ქუთაისში ვერ ესწრებიან და უმეტესი ნაწილი კრების გარეშე რჩება. ამიტომ იძულებული არიან, რომ თვისი ხმის უფლება სხვებს გადასცენ, ან მიყიდიან დაინტერესებულ პირებს და ეს უკანასკნელები-კი, რა თქმა უნდა, იმ ნაშრომარ ხმის უფლებებს ისე ხმარობენ კრებაზე, როგორც თვითონ მოუხდებიან და არა ჩვენ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ხმის უფლებებთან ერთად, ჩვენი ინტერესებიც-კი ფეხ-ქვეშ ითე-

ლება და ხშირათ საქმის გადაწყვეტას ცალმხრივობა ემჩნევა. ამიტომაც, მორიგისი კრება მრეწველობისა ადგილობ. ქიათურაში რომ დაინიშნოს ხოლმე, სადაც ყველა მრეწველები გამოუკლებლათ დაესწრებიან, ათასჯერ მეტათ სჯობია, ვიდრე ქალაქ ქუთაისში\*\*)..

**შვილი:** — ეს ყველაფერი კარგი. მარა ეს ფულები და საშვალეობა საიდან შამოდის მრეწველთა კრების საბჭოს?!

**მამა:** — ამ ფულებს, შეილო, ისევ ჩვენი შავი ქვის მადნები იძლევა ამნაირათ: იმ ჩვენგან არჩეულმა განათლებულმა პირებმა, რომელნიც სათავეში უდგიან საბჭოს, ერთხელვე იშვამდგომლეს და დააკანონებინეს მთავრობას, რომ რავედენი ფუთი შავი ქვის მადენი გაიგზავნოს ჩვენი ქიათურიდან რკინის გზით, იმდენი ნახევარი კაპიკი საბჭოს კასაში უნდა შემოვიდეს. აქიდან დიდძალი ფული შედგება ხოლმე ყოველ წლიურათ საბჭოს კასაში, როცა-კი შავი ქვის გადაზიდვა არის ქიათურიდან და ეს ფულები საბჭოს სრულ განკარგულებაში არის. საბჭო-კი ამ ფულებით ქიათურაში და მის რაიონში სკოლებს ინახავს, საავთმყოფოს და სასწავლებლებსაც, გზებს აკეთებს ქიათურაში და მთელ სამრეწველო რაიონში და ახმარს სხვა და სხვა საზოგადო-კულტურულ საქმეებს და დაწესებულებას.

**შვილი:** — მაშ, მამა ჩემო, ჩვენ, ქართველებსაც გვქონია საზოგადო საქმეებისაკეთების ნიჭი და რატომ ერთი, მრეწველთა ქართული ამხანაგობა არ შედგა ჩვენ ქიათურაში, რომ საზღვარ-გარეთელ ვაქარ ჩარჩებს არ ჩავარდნოდა ჩალის ფასათ ხელში ჩვენი ზღვა სიმდიდრე — შავი ქვის მადნები?!

**მამა:** — ჰე, შეილო, სიტყვა ადვილათ ითქ-

\*) ამსახანზე ბევრჯერ აღძრულა შვამდგომლობა, სადაც ჯერ არს. მარა არა გამოვიდა რა.

\*\*) არის მიზეზები და ძალიან სერიოზულიც, რომელიც, უმაღლესი ადმინისტრაციის გარეშეც, წინ ეღობება ამ სამართლიან სურვილს.



მის... მარა საქმის გაკეთება კი ძნელია. კარგი იყო თავიდანვე ერთი ქართული შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება შეკავშირებულყო. მარა ეკანომიური ძალა, შვილო, ყველა ძალაზე მძლავრია. — მართალია, ქართველები ნიკიერი ხალხია. მარა, ერთი, რომ ეკანომიურათ სუსტი ვართ, მეორე, რომ ვაქრობის ბევრი არა ფერიც გავგეგება! თავი და თავი მიხეზი კი ის არის, რომ ერთი მეორეს არ ვუჯერით, ერთი მეორეს საზოგადო საქმეში არ მივყვებით ხოლმე, ერთგულობა, ერთსულობა, ძმობა, სიყვარული და ერთობა გვაკლია და კიდევ სულ ძმობაზე და ერთობაზე შემოგვმდეროდა ქართველებს ჩვენი დიდებული მამათმთავარი სულმნათი მგოასნი ბაკი. იმიტო, რომ იმან იცოდა, სადაც ერთობა და სიყვარული, ძლიერებაც სწორეთ იქ არის და ბედნიერებაც.

ყველა ამას ისიც უნდა დაემატო, რომ ჯერ კიდევ უსწავლელობით ვართ დაქიფებულნი. თუ ისწავლით, შვილო, მომავალი ნასწავლი თაობა მაინც გამოდგება ერთობაში და საზოგადო საქმეებში და ჩვენ უსწავლელებს, რაც დაგვემართა და ან აწი, რაც დაგვემართება, მადლობა ღმერთს....

**შვილი:** — დღეს, მამა ჩემო, გვყავს ნასწავლი ქართველები. ნურც მვრე ვაიტებთ გულს. იმათ შეუძლია სხვისი ძალ-მომრეობიდან და მონობიდან გამოიხსნან თვისი თავიც და თვისი დაჩაგრული ბედ-შავი სოფლის ღარიბი ხალხი და მრეწველობის, მეურნობის საქმეც გააუმჯობესონ!

**მამა:** — სამწუხაროც ვე არის, შვილო. გვყავს აქა-იქ ნასწავლი პირები, მარა ისინი უმეტესი ნაწილი კუდაბზიკობენ, ფიზიკურ შრომას ფრიდებიან, სოფლოურ ცხოვრებას, მრეწველობას და მეურნობას გაუბრალებენ... ქალაქებს ეტანებიან „ჩინოვნიკობას“ ემებენ და მცირე სამსახურს კიდებენ ხელს და მუდამ სხვისი შემჩერე და სხვისი სააპკუნო ხთებიან... ეს — კი ცუდი აღზნის ბრალია: მშობლებმაც ვეღარ ვაიგეს, რომ საქაროა გაამრავლონ ტენნიკური, კომერციული, სა-

მეურნო და სხვა ასეთი ტიპის სასწავლებლები, სადაც სპეციალურ განათლების მიღებაც შეიძლება. თორე მარტო გიმნაზიური საზოგადო განათლება არა კმარა ჩვენში. მარა „კარგ მთქმელს, კარგი გამგონეც უნდაო“, ნათქვამია. ქუთაისში აღიძრა სურვილი სპეციალური სასწავლებლის დაარსებაზე. ჩვენი საბჭოც დაეხმარება. მარა დღეინდელი საზარელიოში უშლის ხელს. თუმცა, შვილო, ქუთათურ ინტელიგენტებზე გული გამიტყდა. იმათ მარტო სურვილის გამოთქმა და მშრალი „ლაპარაკი“ იციან. საქმეს და საზოგადო ჭირ-ვარამს-კი ყველა გურბის და მარტო სურვილით და ლაპარაკით საქმე არ გაკეთდება!... კიდე ბევრი უნდოდათ მამა-შვილს ესაუბრათ. მარა მოიღალენ და ჭიათურაზე და მის მრეწველობაზე თვისი საუბარი იმითი დაათავეს, რომ ერთი მაგრათ ამოიხვენემეს, თითქო ასეთ ამოკენესას თან ამოყოლოდეს მწუხარე და გატანჯული გულიდან ის დარდი და მწარე ნალღელი, რასაც ისინი განიცდიან დღეინდელ საქმის მიმე მდგომარეობით.

**ბესარიონ ჭიათურელი.**

**გაქაფმაგელა ფოთში.**

(მოგონება.)

1913 წელს, აღარ მახსოვს კარგათ, მგონი, ზაფხული იწურებოდა, რომ ქ. ფოთში სალიტერატურო სადამოზე მოწვეული იყო პოეტი ვაჟა-ფშაველა. შორიდან ყველამ იცოდა, ვაჟას სახელი და ნიჭი. ამიტომ დიდი და პატიარა თვლით მის ხილვას მოუთმენლათ მოელოდა. ერთ დილას, ფოთში გაისმა ხმა, ვაჟა ჩამოვიდა და ყველა სადამოზე დასასწრებლათ სიზარულით თავის სამხადისს შეუდგა. გავიგე, თუ არა ვაჟას ჩამოსვლა ფოთში, გავეშურე მის სანახავათ. თუმცა ეთრიზრიდან ვიყავით, მარა დიდი ხანი არ მენახა. მითხრეს, ვაჟა ისვენებსო და ჩემი ნახვით აღარ შევაწუხე.

მოახლოვდა სანატრელი საღამოც. ადგილობრივ თეატრის შენობაში საზოგადოების დიდმა ნაწილმა მოიყარა თავი. აიხნა ფარდა და გაცრეცილ სცენას სულ გაკემნდილი ათასის თვალი მიაშტერდა. საერთო სიჩუმეს აქა-იქ ჩურჩულიდა არღვევდა: — ვაჟა-ფშაველა, მგონი, ქართლიდან უნდა იყვეს... ჯიელია, თუ ხნეირი... ალბათ, ნასწავლი უნდა იყვეს... აბა, ნასწავლი იქნება, მა რა იქნება... ყველას თვალ ყურს ვადევნებდი და ღიმილი მომდიოდა. აგერ, გაიღო კარი და სცენაზე გამოჩნდა ვიღაც უბრალო ჩოხოსანი კაცი და საზოგადოებას თავი დაუკრა... აქა-იქ ტაშის ხმაც გაისმა. ყველა კითხულობდა, თუ ვინ იყო იგი... მგონი, ეგ უნდა იყოს ვაჟა-ფშაველა.

— რავე გეკადრება ვაჟა-ფშაველას, როგორც აქებენ, იმის ჩაცმულობა სულ სხვანაირი უნდა იყოს-მანუეტ-გალსტუხი და სხვა. აგერ, გაიღო მეორე კარი, გამოვიდა ახალგაზდა პოეტი (გვარი აღარ მახსოვს) და ვაჟას ლექსით მიესალმა.

ბევრი ამ დროს მიხვდა, რომ ეს იყო ვაჟა. მარა მაინც ვერ წარმოედგინათ, თუ შეიძლებოდა სახელ გათქმული პოეტის ასეთი უბრალოობა. დაამთავრა ახალგაზდა პოეტმა თვისი მისასალმებელი ლექსი, რომელიც საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა და, ცოტა სიჩუმის შემდეგ, კვლავ ვაჟას ლეთიური ხმა გაისმა. ისმოდა რაკრაკა წყაროსავით საამო ლექსები, რომელთაც ჩვენს გონებაში სალკლდოვან ბუნებასთან გადაეყავით. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. იგი განსვენებულ მგოსანს ტაშის ქუხილით აჯილდოვებდა. საზოგადოების აღტაცება იმდენათ ღრმა იყო, რამდენათაც უბრალოა იყო თვით ვაჟა. საზოგადოებამ, ბარე, შეიდჯერ გამოიწვია პოეტი სცენაზე.

ამ საღამოთი დიდათ ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა. ვაჟა ძალიან მოქანცული იყო. ამასთან ბევრი ეხვეოდა და ისევ ვაგზალზე ვარჩევ იმისი ნახვა, რადგან ვაჟას

ამ ღამის მატარებლით გადაეწყვიტა წასვლა.



ვაგზლისკენ მივდიოდი და ვისაც-კი გზაზე შევხვდი, ყველას ვაჟა ეკერა პირზე, ვაჟაზე მსჯელობდა: — როგორც ეტყობა, ვაჟა-ფშაველა დიდებული პოეტია, მარა უსწავლელი-კი უნდა იყოს.. მათ შორის, ერთი ნაცნობი გამომიჩნდა და მკითხა: ვაჟა ფშაველას მაინც რა სწავლა აქვსო... მე, როცა ვუბასუხე, რომ მას საოსტატო სემინარია აქვს გათავებული და, შემდეგ პეტროგრაღში ლექციებიც მოუსმენია მეთქი — ამის გამგონეთა გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა. ვაჟა და რამდენიმე გამცილებელი ვაგზალზე ჩემზე აღრე მისულიყვენ ეტლით და ბუფეტში ვახშამს შეექცეოდნენ, რომ მეც შევედი. გადავხვებ ვაჟას და, შემდეგ, გამომკითხა, თუ როგორ მოხვდები ამ მხარეს... მატარებლის წასვლამდე კარგა ხანი იყო. ვხუმრობდით, ებაასობდით... სხვათა შორის, ერთმა სტუდენტმა კითხა ვაჟას: თქვენ სოციალ-დემოკრატებზე, რა აზრისა ხართო. — ხმალიც არის და ხმალიც, ზოგი ხმალია, რომ მტერს მოგაშორებს და ზოგი მტერთან გიმტყუნებსო, იყო პასუხი ვაჟასგან... ჩემთვის სულერთიო, განაგრძო პოეტმა, ვინც-გინდა იყავით, შეიღებო, ოღონდ საქართველოს აღორძინება — აყვავებას საერთოთ შეუწყეთ ხელიო.

დაირეკა მესამე ზარი. ვაჟა ვაგონში შევაცილეთ. სესიტოკის ხმა გაისმა. გამოვეთხოვეთ ვაჟას. დაიძრა მატარებელი და ჩვენც სახლებსკენ გავწიეთ. ხილზე, როცა ვავდიოდით, ღამის წყვილადში ვახვეული მატარებლის გუგუნე შორიდან მოისმოდა, რომლის ერთერთ ვაგონში ჯერ კიდევ ჩვენი გონება ვაჟას სკვრეტდა...

ს. ტაბლიაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ს. მჭედლიძე.

უოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

 „სახალხო ფურცელი“ 

(ნახატებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ. Газ. „Сахалхо Пурцели“. Поч. ящ. № 190.

---

თფილისის წიგნის მაღაზიეზი იყიღეზ

გ. თუმანიშვილის წიგნებ:

**Итоги земских совѣщаній на Кавказѣ.**

ფ. 60 კაპ.

---

**Характеристика и воспоминанія,**

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები. — ქართული თეატრი. — რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შევსებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

---

**ПЕРВЫЙ КАМЕНЬ**

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.

მიიღება 1915 წ. ზირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სა-  
ლიტერატურო და საზოლიტიკო კურნალ

## „გ ა ნ თ ი ა ლ“-ზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანე-  
ლობით.

წლიურათ ჟურნალი ელირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ.,  
სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბახათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხე-  
ლის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივ-  
ნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიციანიძესთან, თომა მთავრიშვილ-  
თან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან,  
ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, კოწია გამყრელიძესთან,  
ზონში—გიგლა მებუკესთან, კაკავში თ. ისონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Сиридо-  
новичу Панцхава.

ამიერიდან ჟ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

## „საშოკლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე  
ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია  
„სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამო-  
კიდებულია თანამგზნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი  
პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვი-  
გზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია  
ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი თ. ა. ცანცაძე.